ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 31 ოქტომბერი, 2011 | №258 (5638) | ფასი: 30 თეთრი

**ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენცია გაიმართება საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში 1 ნოემბერს 16:00 საათზე**

# ივანიშვილმა სააკაშვილს უკვე აჯობა

გვ. 2





ხელისუფლება ისეთი შეშინებულია, უკვე ქვების დაპატიმრება დაიწყო



## 26 მაისისა და 7 ნოემბრის დარბევებზე ხელისუფლება პასუხს აუცილებლად აგებს!

გვ.4

## ალეკო შალამბერიძე: „მიშას მოტანილს მიშავე წაიღებს“

გვ. 4







## აფინანსებს თუ არა ებრალიძე სააკაშვილს

გვ. 2

## კახა კუკავა: ხელისუფლება რუსეთის ულტიმატუმს დათანხმდა



გვ. 6

## საკრებულოს ნაციონალი წევრების საეჭვო ბიზნესი

გვ.3

რამდენად კანონიერად მიისაკუთრა მუშთაიდის ბაღი დეპუტატმა ალექსანდრე ნიკოლაიშვილმა?



## გოგი ხუციშვილი: „შეშინებული ხელისუფლება სერიოზულ შეცდომებს უშვებს“

გვ. 5

ივანიშვილს ჯერ საკუთარი ტელევიზია უნდა გაეკეთებინა და სააკაშვილს მერე დაპირისპირებოდა

## „არ გამოვრიცხავ, რუსის ჯარი თბილისთან მოვიდეს“

გვ. 4



„ახალი თაობა“ + ქართული მწერლობის საუნჯე

მე-4 ტომი 8 ლარად

ISSN 1987-9385

**7** დასავლეთი სააკაშვილს აფრთხილებს

**3** მიკროავტობუსებით მგზავრობის გაძვირებას კიდევ ერთხელ გააპროტესტებენ

**3** აღსრულების პოლიციას უფლებები გაეზარდა

**6** ევროსტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანებას უახლოეს წლებში გამორიცხავენ

# აფინანსებს თუ არა ებრალიძე სააკაშვილს

შორენა კოწოწაშვილი

## ინტერვიუ ადვოკატ ლალი აფციაურთან

***— ქალბატონო ლალი, თქვენ ესწრებოდით ბიზნესმენ ებრალიძის მიერ ბრიუსელში გამართულ კონფერენციას. რა შეფასებები გაკეთდა ბრიუსელში ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე?***

— კონფერენციაზე ვიმყოფებოდი კახა კუკავას მიწვევით. ეს იყო „საქართველოს ხალხთა კონგრესის“ მიერ ორგანიზებული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ პოლიტიკოსები, ექსპერტები, უფლებადამცველები. ვისი მოწყობილიც არ უდა ყოფილიყო ეს კონფერენცია, მაინც დავესწრებოდი, რადგანაც მიწვეული ვიყავი უფლებადაცვით საკითხებთან დაკავშირებით. ებრალიძეც და ხომერიკიც, ვისი ორგანიზებითაც მოეწყო ეს კონფერეცია, ჩემთვის ჩეულებრივი ქართველები არიან, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ. ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრები ქართველების მოწვევას მივიღებ და წავალ. კონფერენცია ძალიან საინტერესო იყო. მასზე გაჟღერდა საკითხები, როგორც საქართველოში უფლებადაცვითი კუთხით შექნილი ვითარების შესახებ, ასევე პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ. კონფერენციას ესწრებოდა ებრალიძეც, რომლის მხრიდანაც გაჟღერდა მისთვის საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის საკითხი. როგორც იცით, მან საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით სააკაშვილს მიმართა, მაგრამ უარი მიიღო. ებრალიძე არის საქართველოში დაბადებული. მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება არ უნდა ყოფილიყო შეზღუდული, თუ რაიმე სამართლებრივი დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს. ვინაიდან ხელისუფლება დამაბრკოლებელ სამართლებრივ გარემოებებზე ვერაფერს მიუთითებს, რა თქმა უნდა, ეს უკანონოა. ეს იყო ძირითადად კონფერენციის მოტივაცია. რაც შეეხება ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, მინდა გითხრათ, რომ დადგა ის დრო, ქვეყანაში ყველაფერი რადიკალურად რომ უნდა შეიცვალოს. ყველანაირი მოთმინების ზღვარი გადაიწურა. ჩვენი თანამემამულეები, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ და მყარი ფინანსური მდგომარეობა აქვთ, შემობრუნდნენ ამ ქვეყნისკენ და კარგის გაკეთება უნდათ. ისინი იძულებული გახდნენ, პოლიტიკაში ჩართულიყვნენ, რადგან სტკივათ თავიანთი ქვეყანა. ავილოთ იგივე ივანიშვილი. ადამიანი, რომელიც მთელი ამ წლების მანძილზე ხელისუფლებას ედგა მხარში. მან უამრავი თანხა დახარჯა ქვეყნის საკეთილდღეოდ. როცა მის მიერ დაფინანსებულ პროექტებს და სფეროებს ვეცნობი, ირკვევა, რომ აბსოლუტურად ყველა სრტუქტურას აფინანსებდა. ამიტომ იქვე გამიჩნდა კითხვა, მაშინ ხელისუფლება რას აკეთებდა, თუ ეს ყველაფერი ივანიშვილის დაფინანსებით გაკეთდა?! რა ფუნქციას ასრულებდა მთავრობა, თუ რაც კეთდებოდა, ყველაფერი ივანიშვილის ფულით კეთდებოდა. თუნდაც ის, რად ღირს, რომ 2010 წელს 112 ეკლესიას გაუკეთა რეკონსტრუქცია და ამაზე 4 მლნ-ზე მეტია დახარჯული. ამ დროს რა ხდება: ცოტა ხნით ადრე სააკაშვილი გამოხტა და იძახდა, ეკლესიებს ვაშენებთ და რეკონსტრუქციას ვუკეთებთ და მაინც ეკლესიების ნგრევაში გვდებენ ბრალს და მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაშიო. თურმე ამ ყველაფერს სინამდვილეში ბიძინა ივანიშვილი აკეთებდა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ივანიშვილი ამ ხელისუფლებამ თავისი საქციელით აიძულა პოლიტიკაში ჩართულიყო. მეც, როგორც იურისტს, სულ არ მაინტერესებს ამათი პოლიტიკა. მაგრამ იძულებული გამხადეს, რომ რაღაც დონეზე ჩავერთო ამ პროცესში და გარკვეული განცხადებები გავაკეთო. ვფიქრობ, თითოეული ქართველი, ვინც ფიქრობს, რომ ჩვენი სამშობლო იღუპება, ასეთ ნაბიჯებს უნდა დგამდეს.



***— ებრალიძესთან გამოჩენას ბევრი ერიდება. ფაქტია, არაერთს ეშინია ხელისუფლებამ მას პრორუსულის იარლიყი არ მიაკეროს.***

— ამ ხელისუფლებისთვის ყველა ძალა პრორუსულია, ვინც ნაციონალების პოზიციას არ იზიარებს. ყველას პრორუსულებად ასაღებენ, ვინც ხელისუფლბის მიმართ სრულიად სამართლიან პროტესტს გამოხატავს. ეს ყველაფერი ხელისუფლებას აწყობს და ამიტომ არის ასეთი ისტერია ამ კუთხით.

***— არაერთხელ ითქვა, რომ სააკაშვილის გუნდს რუსეთში მოღვაწე ქართველებიც უმაგრებენ. ებრალიძის მიერ ანტისააკაშვილისეული განწყობა აშკარად გამოიკვეთა თუ მის განცხადებებში გარკვეული თამაშიც იკვეთებოდა?***

— ეს იყო ძალიან ზოგადი კონფერენცია. ასე ვრცლად საუბარი არ გვქონია. ზოგადი საუბარი იყო თემატიკასთან დაკავშირებით, საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე. პირადად მე საერთოდ არ მქონია ებრალიძესთან საუბარი. ზურგს უმაგრებენ თუ არა სააკაშვილს, ვერ გეტყვით. ფაქტი ერთია: გამოჩნდა, რომ ერთი პერიოდი სააკაშვილის თავად ივანიშვილი უმაგრებდა. ებრალიძის კუთხით ჯერ არაფერი გვსმენია. არ მსმენია, რომ ებრალიძე სააკაშვილს აფინანსებდა. რომ გითხრათ, რომ რაიმე კონკრეტული იყო ამ საკითხებზე, არ ყოფილა.

***— კონფერენციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ივანიშვილთან დაკავშირებითაც იყო საუბარი. იქნებ დააკონკრეტოთ, რა კუთხით?***

— მოქალაქეობასთან დაკავშირებით. ავტომატურ რეჟიმში მოხდა ებრალიძის და ივანიშვილის შედარება, ანუ ადამიანი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებას აფინანსებდა, მისაღები იყო იგიც და მისი ფულიც ამ გუნდისთვის, მანამ, სანამ მას პოლიტიკური ამბიციები გაუჩნდებოდა. როგორც კი ივანიშვილმა ამ ხელისუფლების საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა, იგი გახდა რუსეთის მიერ მართული პიროვნება, რუსი ოლიგარქი და მაშინვე საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს.

***— არც იმაზე თქმულა რაიმე, რომ რიგი ქართველები, რომლებსაც უცხოეთში სერიოზული ბიზნესები აქვთ, საქართველოში პოლიტიკური პროცესების დაფინანსებისთვის მზად არიან?***

— მსგავსი საუბარი არ ყოფილა. ებრალიძეს უნდა, რომ საქართველოს მოქალაქეობა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიიღოს. დაბადებით ებრალიძე ქართველია და მერე აქვს მიღებული რუსეთის მოქალაქეობა, როცა ის რუსეთში წავიდა. ასეთი ადამიანები, რუსეთის მოქალაქე ქართველები სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობებზე ჰყავდა სააკაშვილს დანიშნული იგივე კახა ბენდუქიძე, იგივე დღევანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთის მოქალაქეები არ არიან? ესენი ხომ რუსეთის მიერ იყვნენ მართულები და რატომ არ იყო მათი დანიშვნა სააკაშვილისთვის პრობლემური და მიუღებელი?! ბიზნესმენი ებრალიძე თუ გამოთქვამს სურვილს, რომ საქართველოს მოქლაქეობა მიიღოს და არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, ამაში საგანგაშო რა არის. ამას ვერ ვხვდები.

***— რადენად სერიოზული განცხადებებით გამოჩნდა ივანიშვილი ოპოზიციურ ფლანგზე?***

— ივანიშვილმა საკმაოდ სერიოზული განცხადებები კი არ გააკეთა მხოლოდ, მან საკმაოდ სერიოზული ნაბიჯი გადადგა. პირადად ჩემი დამოკიდებულება ცოტა განსხვავებულია. მე არა მაქვს ხბოს აღფრთოვანება. მე რეალური საქმეები მაინტერესებს და არა ზოგადი განცხადებების კეთება. ვნახოთ, ივანიშვილი გარკვეულ შედეგებამდე მივა და მერე შევაფასოთ მისი ნაბიჯი და გადაწყვეტილება. რაც შეეხება მის მიერ ოპოიზიციურ ძალებს შორის გაკეთებულ არჩევანს, ეს მისი არჩევანია, როგორ გუნდს შეკრავს. მე რესპუბლიკელებზე და ალასანიაზე განსხავვებული წარმოდგენა მაქვს. ვფიქრობ, ივანიშვილმა გუნდის შერჩევის დროს შეცდომა არ უნდა დაუშვას. თუმცაღა მინდა გითხრათ, რომ არჩევანის გაკეთების დროს შესაბამის კონსულტაციებს მიიღებდა. მე პირადად, ბევრი კითხვა მიჩნდება, რომელზეც საჯაროდ პასუხი არ მჭირდება. მოვლენებს შევხედოთ და დრო ყველაფერს დაგვანახებს. ახლავე რომ ჩავუდგეთ კრიჭაში ივანიშვილს, არ შეიძლება. ღმერთმა ხელი მოუმართოს ქვეყნის სასიკეთო საქმეებში.

# ივანიშვილმა სააკაშვილს უკვე აჯობა

## ხელისუფლება ისეთი შეშინებულია, უკვე ქვების დაპატიმრება დაიწყო

შორენა კოწოწაშვილი

**რა შეცდომა დაუშვა ხელისუფლებამ და შეძლებს თუ არა ის თუნდაც სერიოზული პროვოკაციებით ბიძინა ივანიშვილის იმიჯის შელახვას? — ამ საკითხების ირგვლივ გავესაუბრეთ „ქართული აკადემიის“ წევრ ნუკრი ქანთარიას.**

***— ბატონო ნუკრი, რა ვითარება შექმნა ივანიშვილის გამოჩენამ და ნაწილობრივ უკან დაიხია თუ არა ხელისუფლებამ?***

— ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც სამშობლო უყვარს, ანუ ყველა ქართველი, მიუხედავად მისი აღმსარებლობისა და პოლიტიკური შეხედულებისა, უნდა მიესალმოს და მხარი უნდა დაუჭიროს ამ პროცესს. მთავარია, რომ თუ ქვეყნისა და ჩვენი სამშობლოსთვის გვინდა პერსპექტივა, გამოჩნდა ალტერნატიული ძალის შესაძლებლობა. ბიძინა ივანიშვილს კი არ უნდა დავუჭიროთ მხარი, აი, ამ პროცესს, რომელსაც სათავეში ივანიშვილი ჩაუდგა. სიტუაციაც ქვეყანაში აბსოლუტურად შეიცვალა. აი, უკვე რამდენი კვირაა პოლიტიკურ დღის წესრიგს ივანიშვილის ფაქტორი განაპირობებს. თუ კარგად დავაკვირდებით, რა მოხდა 7 ოქტომბერს, არაფერი ისეთი, გარდა იმისა, რომ ქველმოქმედმა, ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა, რომელსაც ამ ქვეყანაში ძალიან დიდი მარაგი გააჩნდა მორალური ავტორიტეტის სახით, განაცხადა, რომ მას უნდა არჩევნებში მონაწილება და არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლა სხვებთან ერთად. ხელისუფლებისგან ამას როგორი ისტერიკა და პანიკა მოჰყვა, ყველამ დავინახეთ – დაყაჩაღება დღისით, მოქალაქეობის შეწყვეტა, მისი შვილის მეგობრების დაშინება-დაჭერა და ა.შ. ქვების დაპატიმრებასაც კი არ მოერიდნენ. ეს უკვე სამარცხვინო ფაქტია. ხელისუფლებამ თავადვე აღიარა ამ ფაქტებით, რომ ის კონკურენტუნარიან საარჩევნო ბრძოლაში განწირულია. სხვას რას უნდა მივაწეროთ ასეთი ისტერიკული გამონათქვამები და ქმედებები, რომელიც ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენამ გამოიწვია. მე ვამბობ, რომ დღის წესრიგს ადგენს ივანიშვილი და ბოლოს არის რეაგირება. რაც ბოლოს სიმინდთან დაკავშირებით განაცხადა სააკაშვილმა, როცა თქვა, ჰიბრიდული სიმინდი ვისაც ჩაუვარდა, ჩვენ გადავუხდით ზარალსო, ეს ხომ მარცხის აღიარებაა. თვითონ ის ფაქტი, რომ 45 წლის ასაკს ზემოთ ადამიანები გაახსენდათ, ეს ყველაფერი დაკავშირებულია სწორედ ამ მოვლენებთან. ეს ყველაფერი გამოიწვია ივანიშვილის ორმა განცხადებამ და ორმა ინტერვიუმ. ჯერ მეტი არაფერი ისეთი არ ყოფილა. ვხედავთ, რომ გარკვეულ ადამიანებთან არის შეხვედრები. ქმედება, ფაქტობრივად, არ ყოფილა, გარდა ამ განცხადებებისა.



***— ივანიშვილის განცხადებებმა ხალხში გამარჯვების რწმენა და ოპტიმიზმი გააჩინა?***

— რა თქმა უნდა. გაჩნდა იმედი, რომ შეიძლება თავი დავაღწიოთ სააკაშვილის ერთპარტიულ რეჟიმს, რომლის მარწუხებშიც ამდენი ხანია ვართ. სხვათა შორის, ბოლო ხანებში ამ რეჟიმის შეცვლის არავითარი შანსი არ იყო. ყველა კარი დაიხურა. „ქართული აკადემია“ ყოველთვის მონაწილეობდა ალტერნატიული ძალის შექმნაში და თავისი მოკრძალებული წვლილი შეჰქონდა. მაგრამ, მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, ხელისუფლება რეალურად ვერ დადგა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე. ახლა გაცილებით რეალური სიტუაციაა. ივანიშვილმა თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა. მას ძალიან დიდი მორალური ავტორიტეტი აქვს საქართველოში და ეს არის მისი მთავარი კოზირი. ფინანსურ შესაძლებლობებზე აღარ ვლაპარაკობ. მხოლოდ ფინანსები არ არის მთავარი, თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია. ბევრი ფულიანი კაცი მინახავს, რომელმაც საზოგადოების ნდობა ვერ მოიპოვა. მაგრამ ბიძინა ივანიშვილს ეს ნდობა უკვე მრავალი წელია მოპოვებული აქვს.

***— რადგან ფინანსები ახსენეთ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა მზადყოფნა გამოთქვა, ეროვნულმა ბანკმა გამოყოს ის 3 მლნ დოლარი და 1 მლნ ევრო, რომელიც „ქართუ ბანკის“ საინკასაციო მანქანის გადაადგილების დროს იქნა დაყადაღებული.***

— ეს თანხა აუცილებლად უნდა დააბრუნონ. ეს ხომ მათი ფული არ არის. ეს არის კერძო საკუთრების წართმევა დღისით, მზისით.

***— გიორგი ქადაგიძის ეს განცხადება ნაწილობრივ ხელისუფლების უკან დახევასაც ნიშნავს ივანიშვილთან ბრძოლაში?***

— მე მგონია, რომ უკან იხევენ. იმდენად კანონიერ ველშია ახლა ბიძინა ივანიშვილი და ვერაფრით ვერ გამოიყვანეს ამ ველიდან, რომ აღარ იციან, რა ქნან. საელჩოები და საერთაშორისო საზოგადოება ამ პროცესს გამადიდებელი შუშით უყურებს. ვფიქრობ, მეტი გზა არ აქვთ დარჩენილი, გარდა იმისა, რომ უკან დაიხიონ. ხელისუფლებამ ბიძინა ივანიშვილს, ფაქტობრივად, უკვე მთელი მჭიდი დააცალა. ამით უნდოდათ, ივანიშვილი გამოეწვიათ, მაგრამ მიხვდნენ, რომ ეს უფრო უარესი იყო, იმიტომ რომ ეს ყველაფერი ივანიშვილის ავტორიტეტს უფრო ამაღლებს და მათთვის ეს ცუდია.

***— ანუ ივანიშვილის სააკაშვილის თანაგუნდელებს სერიოზულად შეეშინდათ?***

— ივანიშვილის შეეშინდათ კი არა, ისტერიკა გამართეს თავიანთი ქმედებებით და ამით ივანიშვილი უფრო გაამაგრეს.

***— გასაგებია, მაგრამ სააკაშვილის არსენალში ალბათ არაერთი სერიოზული დარტყმა იქნება ივანიშვილისთვის განპირობებული.***

— ალბათ, არ ვიცი. მაგრამ, რაც მათ უკვე გააკეთეს, ეს იყო იმის აღიარება, რომ ნორმალურ პოლიტიკურ ბრძოლაში, თუნდაც ამავე საარჩევნო კოდექსით, კონკურენცია გაუწიონ საპირწონე კანდიდატურას. მართალიც არის, ვინაიდან ჩვენ რომ ავილოთ ამ წლების მანძილზე ხელისუფლების მიერ გაკეთებული კარგი საქმეები – გზები, შენობების რეკონსტრუქცია და აქეთ დავდოთ ერთი კაცის მიერ გაკეთებული საქმეები, ფაქტია, ივანიშვილის ქველმოქმედება გადაწონის. ახლა ირკვევა, რომ ბევრი რამ, რაც სააკაშვილმა გახსნა და დააპიარა, ივანიშვილის გაკეთებული ყოფილა და ხელისუფლებამ დაიბრალა. ახლა ირკვევა, რომ ხელფასებსაც კი ამ კაცისგან იღებდნენ. ამათ, ეტყობა, შიშის ფაქტორზე ჰქონდათ გათვლილი. ამას ალბათ კიდევ გააგრძელებენ, მაგრამ ღიად – არა, იმიტომ რომ, როცა ელჩები ბიძინა ივანიშვილთან შეიკრიბნენ, ხელისუფლება მიხვდა, რომ ეს ასე იოლად არ ჩაივლის. აქ არის საზოგადოების დამოკიდებულების გამომჟღავნება. ამიტომ მინდა ყველას მივმართო, თეატრებს, რომელიც ივანიშვილმა გადაარჩინა, როგორც შენობები, ისე მსახიობები და იქ დასაქმებული პერსონალი. ახლა მათ უნდა გააკეთონ განცხადებე-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩიშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## აღსრულების პოლიციას უფლებები გაეზარდა

აღსრულების პოლიციას უფლებები გაეზარდა. პარლამენტის მიერ დამტკიცებული საკანონმდებლო ცვლილებით, აღსრულების პოლიციელს პირის პოლიციაში გადაყვანა, მისი პირადი და ნივთების გასინჯვა შეეძლება. გარდა ამისა, სხვა სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის მსგავსად, აღსრულების პოლიციელის განკარგულების ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას 400-ლარიანი ჯარიმა ან 90 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა მოჰყვება.

საკანონმდებლო ინიციატივა დეპუტატებს: ზვიად კუკავასა და ანდრო ალავიძეს ეკუთვნით.

მედიანიუსი

## მიკროავტობუსებით მგზავრობის გაძვირებას კიდევ ერთხელ გააპროტესტებენ

დღეს, 31 ოქტომბერს, 15:00 საათზე სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის 80 თეთრამდე გაძვირებასთან დაკავშირებით საპროტესტო აქცია გაიმართება.

საპროტესტო აქციის ორგანიზებას სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ბექა კემულარია „ფეისბუკის“ მეშვეობით ახორციელებს.

– 31 ოქტომბერს პარლამენტის წინ შევიკრიბოთ ყველანი ერთად და უარი ვუთხრათ უსამართლოდ გაძვირებულ ტრანსპორტს ! ყველამ ერთად გავაპროტესტოთ კონკრეტული პრობლემა, რომელიც შეიქმნა მერიის დახმარებით და რომლის მიზანიც არის ხალხის ძარცვის ხარჯზე მონოპოლისტი კომპანიის გამდიდრება! მიიღე მონაწილეობა მშვიდობიან პროტესტში და შეეცადე, უთხრა უარი უსამართლოდ გაძვირებულ მგზავრობას, – წერს იგი.

ფეისბუკზე სპეციაური მიზნით შექმნილი საპროტესტო გვერდიან ირკვევა, რომ ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, აქციაში მონაწილეობას 1000-დე ადამიანი გეგმავს.

მედიანიუსი

## გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში კოლმეურნეობის შენობა დაიწვა

გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენის ცენტრში მდებარე ყოფილი კოლმეურნეობის შენობას ხანძარი გაუჩნდა. ორ სართულიან შენობაში მეხანძრეები ხანძრის ჩაქრობას რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდნენ.

ადგილზე ერთდროულად რამდენიმე სახანძრო მანქანა იყო მობილიზებული.

როგორც „„მედიანიუსს“ საგანგებო სიტუაციების სამსახურში განუცხადეს, მათ სამსახურში ხანძრის შესახებ შეტყობინება წუხელ შევიდა. მეხანძრეები შემთხვევის ადგილზე დროულად მივიდნენ და ცეცხლი ჩააქრეს, თუმცა რამდენიმე საათში შენობაში გაცილებით ძლიერი ხანძარი ისევ გაჩნდა, რომელიც უკვე ლიკვიდირებულია.

მედიანიუსი

## საქართველო-სომხეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა კვლავ დაიმეწყრა

სომხეთიდან საქართველოში მომავალი საავტომობილო გზა კვლავ პარალიზებულია.

ტაუშის ოლქის სოფელ ხანკაღანთან მეწყერი კიდევ ერთხელ ჩამოწვა.

სპეციალისტების განცხდებით, აღნიშნულ მონაკვეთზე გზის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია, რის გამოც გადაადგილება მხოლოდ ერთი მიმართულებით არის შესაძლებელი.

შეგახსენებთ, რომ ოქტომბრის დასაწყისში სომხეთის ამავე რეგიონში ჩამოწოლილი მეწყერის შედეგად ათეულობით ავტომანქანა მიწისქვეში აღმოჩნდა. სტიქიას მსხვერპლიც მოჰყვა, დაიღუპა ხუთი ადამიანი.

მედიანიუსი

## 2015 წლისთვის საქართველოში ტურისტების რაოდენობამ 5 მილიონს უნდა გადააჭარბოს

საქართველოს მთავრობის გეგმის თანახმად, ქვეყანაში ტურიზმის განვითარება უნდა განხორციელდეს ორი მიდგომის კომბინირებით: „ჰორიზონტული პოლიტიკით“, რაც მიმართულია ტურიზმისათვის ირიბი წამახალისებელი გარემოებების შექმნით და „ვერტიკალური მიდგომის“ გამოყენებით, როგორიც არის ტურისტულ ინფრასტრუქტურაში ინვესტირება, მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესება.

როგორც საქართველოს სტრატეგიული განვითარების „ათპუნქტიან გეგმაშია“ ნათქვამი, საქართველოს მთავრობის მიზანია, 2015 წლისთვის ტურისტების რაოდენობამ 5 მილიონს გადააჭარბოს და ქვეყანა გახადოს ზამთრის ტურიზმის ერთ-ერთი ცენტრი.

მედიანიუსი

# საკრებულოს ნაციონალი წევრების საეჭვო ბიზნესი

### რამდენად კანონიერად მიისაკუთრა მუშთაიდის ბაღი დეპუტატმა ალექსანდრე ნიკოლაიშვილმა?

**მაშინ, როდესაც მმართველი პარტიის წარმომადგენლები დედაქალაქის საკრებულოს ოპოზიციონერ წევრებს მუშაობას უწუნებენ, საინტერესოა, თავად რას „მოღვაწეობენ“? „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებით ხომ ზურაბ აბაშიძემ და ვიქტორ დოლიძემ თანამდებობებს ვერ გაართვეს თავი და ისინი ამიტომაც გადაირჩიეს. „საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე კონკრეტული პრობლემების მოგვარებით უნდა ყოფილიყვნენ დაკავებული და არა ბუნდოვანი, არაფრისმომცემი იდეების განხორციელებით. მათ თავი ვერაფრით ვერ გამოიჩინეს“, — აღნიშნა ნიკო ხაჩირაშვილმა. ჩვენ კი იმ მართლაც ბუნდოვანი საქმეების შესახებ გიამბობთ, რითაც საკრებულოს ნაციონალი დეპუტატები არიან დაკავებული. გვერწმუნეთ, თავის ასეთი გამოჩენა საამაყო ნამდვილად არ არის.**



მუშთაიდი

შალვა ჯოხაძე

რამდენიმე ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თბილისის მერიამ მუშთაიდის ბაღი გრძელვადიანი იჯარით კერძო კომპანიას გადასცა.

ეს ყველაფერი გიგი უგულავას პროექტის ფარგლებში მოხდა, რომლის მიხედვითაც, დედაქალაქის ყველა დიდი პარკი თანდართული ბიზნეს-პროექტით იჯარით უნდა გაცემულიყო. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პარკის — მუშთაიდის 49-წლიანი მართვის უფლება კომპანია „ჯეო გოლდმა“ მოიპოვა. იჯარით გასაცემთა შორის იყო წითელი ბაღი, ვეტერანთა პარკი, ვარკეთილის გასართობი ცენტრი და ვაკის პარკი.

თბილისის მერიის ქონების მართვის სამსახურში აცხადებენ, რომ ამ პროექტით დედაქალაქის საინვესტიციო პოტენციალის ზრდასა და ახალი ინვესტიციების მოზიდვას შეეწყობა ხელი. ქონების მართვის სააგენტოს მთავარი სპეციალისტის, ეკა გურგენიძის განცხადებით, ბიზნეს-პროექტები პარკების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას მოიცავს. დაწვრილებითაა გადმოცემული პარკების მართვის უფლებით გადაცემის პირობები. მითითებულია ინვესტიციის მინიმალური ოდენობა, რომლის განხორციელებაც, პარკების მართვის უფლებით აღების შემთხვევაში, სავალდებულოა. ეკა გურგენიძის განმარტებით, ბიზნესპროექტი გარკვეულწილად დამხმარე სახელმძღვანელოა მოიჯარისათვის, ანუ როგორ მოაწყოს პარკი, რა ატრაქციონები დააყენოს და ა.შ. თუმცა მისი გათვალისწინება სავალდებულო არაა. სავალდებულო პუნქტს მხოლოდ საინვესტიციო თანხის ხარჯვა წარმოადგენს.

რაც შეეხება მუშთაიდის პარკს, კომპანია „ჯეო გოლდმა“ მაქსიმუმ ხუთი წლის განმავლობაში ერთი მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელების პირობა დადო. კომპანიის გენერალური დირექტორის, ლერი შანიძის განცხადებით, სამომავლოდ ეს თანხა მნიშვნელოვნად გაიზრდება, რადგან „ჯეო გოლდს“ მუშთაიდის პარკის განახლებასთან დაკავშირებით სერიოზული გეგმები აქვს, რასაც ერთი მილიონი ლარი არ ეყოფა. მისი თქმით, მუშთაიდი თბილისის ისტორიის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ იერსახეს არ შეიცვლის, თუმცა მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა, დაიდგმება ახალი კარუსელები, იმუშავებს კაფეები და ა.შ. ამასთან, პარკში შესვლა და დასვენება ისევ უფასო იქნება.

თითქოს, ამ ყველაფერში საგანგაშო არაფერი ჩანს და დრო გვაჩვენებს, რეალურად შესრულდება თუ არა დაპირებული სამუშაოები, თუმცა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ ამ ყველაფრის მიღმა საკრებულოს ნაციონალი დეპუტატის კერძო ინტერესების არსებობის შესახებ მოიპოვა დოკუმენტაცია.

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ურბანული პარკის მენეჯმენტის კერძო კომპანიის მიერ განხორციელება თავისთავად მიუღებელი სულაც არ არის. თუმცა, მას შემდეგ, რაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფომაცია გადავამოწმეთ და ერთმანეთს საჯარო რეესტრის, თბილისის საკრებულოს ვებგვერდისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემები შევადარეთ, აღმოჩნდა, რომ „ჯეო გოლდი“ თბილისის საკრებულოს წევრ ალექსანდრე ნიკოლაიშვილს ეკუთვნის.

მართალია, თავისთავად ეს ფაქტი კანონდარღვევას არ წარმოადგენს, მაგრამ მერიის მიერ ქალაქის საკუთრებაში არსებული პარკის საკრებულოს წევრისთვის გადაცემა კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მმართველობის მაგალითად ვერ ჩაითვლება. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ (როგორც ქონების მართვის სააგენტომ გვაცნობა), მუშთაიდის ბაღი „ჯეო გოლდს“ პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცა, ანუ კონკურენტული შერჩევის პროცესის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ქალაქის საკრებულოს წევრებს თანამდებობის პირის სტატუსი არ აქვთ და, შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული მკაცრი ნორმები მათზე არ ვრცელდება. ამავე მიზეზით, მათი ქონებრივი დეკლარაციები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.


ალექსანდრე ნიკოლაიშვილი

საზოგადოებრივი ინტერესები მოითხოვს, რომ იჯარის პროცესი გამჭვირვალედ წარიმართოს და შერჩეულ კომპანიასთან დადებულ ხელშეკრულებაში პარკის რეკრეაციული ფუნქციის შესანარჩუნებლად სათანადო დამცავი მექანიზმები ჩაიდოს. სწორედ ამ მიზნით გადავწყვიტეთ, რომ თბილისის მერიასა და „ჯეო გოლდს“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას გავცნობოდით. სამწუხაროდ, ქონების მართვის სააგენტომ უარი გვითხრა ხელშეკრულების ასლის გაცემაზე და განაცხადა, რომ ხელშეკრულება კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27(2)-ე მუხლის შესაბამისად.

ჩვენი აზრით, მეტად საკამათოა, თუ რამდენად ესადაგება ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმა თბილისი მერიასა და „ჯეო გოლდს“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას. ნებისმიერ შემთხვევაში, ქონების მართვის სააგენტოს შეეძლო ხელშეკრულების იმ ნაწილების გასაჯაროება, რომლებიც კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეულ ინფორმაციას არ შეიცავს. მეტიც, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, სახელმწიფო უწყება ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად შესაბამისი დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე აცხადებს და ვალდებულია, რომ საჯარო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია ამგვარი მოთხოვნის შესახებ. ჩვენ თხოვნით მივმართეთ ქონების მართვის სააგენტოს, რომ ეცნობებინა ხელშეკრულების გასაიდუმლოების მომთხოვნი მხარის ვინაობა და მოთხოვნის თარიღი, ასევე დაედასტურებინა, რომ აღნიშნული მოთხოვნა საჯარო რეესტრში იქნა გატარებული, თუმცა ქონების მართვის სააგენტომ არც ეს ინფორმაცია მოგვაწოდა“, — აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენლები.

ამავე ორგანიზაციის ცნობით, რადგანაც მუშთაიდის ბაღის იჯარით გაცემის გადაწყვეტილება საჯარო განხილვის გარეშე მიიღეს, ხოლო ხელშეკრულება დღემდე საიდუმლოდ რჩება, მოქალაქეებისთვის ამ საკითხზე ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალება მერიის წარმომადგენელთა ზეპირი განცხადებებია. პროცესის ბუნდოვანება შეშფოთებას იწვევს და მნიშვნელოვან კითხვებს წარმოშობს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად იქნება პარკის რეკრეაციული ფუნქცია დაცული და შენარჩუნებული მომავალში.

„ეს კითხვები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ მერია (მისივე წარმომადგენელთა თქმით) მართვის მსგავსი მოდელის გამოყენებას ქალაქის სხვა პარკების შემთხვევაშიც გეგმავს. მოვუწოდებთ მერიას, რომ მუშთაიდის ბაღის შემთხვევაში განხორციელებული მოდელის მომავალში გამოყენება მხოლოდ საკითხის საჯარო განხილვის შემდეგ მოხდეს და პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე იყოს“, — დასძენენ ორგანიზაციაში.

ალბათ, ასეთი საქმეებით „გამოჩენილი“ დეპუტატები მოსწონთ გიგი უგულავას, ნიკო ხაჩირაშვილსა და იმ 36 დეპუტატს, რომელთაც ოპოზიციონერი კოლეგები ერთხმად გადაირჩიეს. იცნობდეთ გიგი უგულავას საყვარელ დეპუტატს, „ჯეო გოლდის“ ასპროცენტიანი წილის მფლობელ საქმოსან ალექსანდრე ნიკოლაიშვილს, რომელიც იმავდროულად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრია, ჩუღურეთის რაიონის საარჩევნო ოლქიდან არჩეული მაჟორიტარია, საკრებულოში „ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომისიის“ თავმჯდომარის მოადგილე გახლავთ და „ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიაშიც“ ირიცხება.

„ახალმა თაობამ“ ცოტა ხნის წინ გიამბოთ დედაქალაქის საკრებულოს ნაციონალი წევრების, ირაკლი შიხიაშვილისა და მიხეილ ქავთარაძის ბიზნესის შესახებაც. ისინი თბილისელების კვებაზე ზრუნავენ, დედაქალაქში სოკოებივით გაჩენილი „ით ენ გოუს“ ჯიხურები სწორედ მათი საკუთრებაა (ფირმაში ისინი 32-პროცენტიან წილს ფლობენ და ეს წილი სულ რაღაც 32 ლარად მიიღეს) და თქვენ მიერ ნაყიდი ჰამბურგერებიდან ფული მათთან მიდის. დეპუტატებისა და მათი პარტნიორების მიერ დაარსებულ ფირმას ყოველგვარი დაბრკოლებისა და დაყოვნების გარეშე მისცეს საქმიანობის უფლება მაშინ, როდესაც იმავე პროცედურას რიგითი მოკვდავნი წლობით ელოდებიან, თანაც უშედეგოდ.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

# ივანიშვილმა სააკაშვილს უკვე აჯობა

ბი არა პოლიტიკაში მათი დამოკიდებულების შესახებ, არამედ ელემენტარული განცხადებები. როგორც ვიცი, უახლოეს ხანში თეატრალურ მოღვაწეთა კავშირი გააკეთებს განცხადებას. მე ამ განცხადებას ხელი უკვე მოვაწერე. მათ ღიად უნდა დააფიქსირონ, როგორ მიაჩნიათ, ისეთი ქველმოქმედი და მაღალი ზნეობრივი ავტორიტეტის მქონე პიროვნება, როგორიც ბიძინა ივანიშვილია, უნდა იყოს თუ არა საქართველოს მოქალაქე, თანაც აქ დაბადებული და გაზრდილი ქაცი. როგორც ვიცი, 1 მლრდ-ზე მეტია ეს ქველმოქმედება. რატომ არ უნდა იყოს ასეთი ადამიანი საქართველოს მოქალაქე?! შეიძლება თუ არა, ხელისუფლებამ ასეთ ადამიანს ჩამოართვას მოქალაქეობა იმის გამო, რომ ხელისუფლებას შეეშინდა. ივანიშვილის მეუღლესთან აბსოლუტურად სხვანაირად არის, როგორც იურისტებმა მითხრეს. ვფიქრობ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავიდან უნდა მიანიჭოს ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა. მგონი, ამაზე მთელი საზოგადოება თავის აზრს გამოთქვამს. ვინც თავს იკავებს საჯაროდ თავისი პოზიციის დაფიქსირებისგან, ისინიც უნდა გამოვიდნენ. ახლა დაიწყეს ნაციონალებმა ლაპარაკი, უარი თქვით ივანიშვილის დახმარებაზე და ჩვენ დაგეხმარებითო. არა მგონია, ხალხი ამაზე წავიდეს. შეიძლება, ერთი-ორი ადამიანი გამოჩნდეს, ვინც ამას გააკეთებს, მაგრამ, არა მგონია, ამან მასობრივი სახე მიიღოს. არა მგონია, ქვეყანამ მადლიერების უნარი დაკარგოს. ვიმეორებ, აქ საუბარი არ არის ივანიშვილის მხარდაჭერაზე, საუბარია პროცესის მხარდაჭერაზე, რომელიც ივანიშვილის გამოჩენით დაიწყო.

***— როგორ ფიქრობთ, იქნება ეს პროცესი შიდასახელისუფლებო რღვევის საწინდარი?***

— შეიძლება, რღვევა არ გამოიწვიოს, ისინი უფრო შეაკავშიროს ამ შიშმა. მაგრამ მე ვამბობ, რომ საზოგადოებაში გარდატეხა უკვე მოხდა. ხალხს ის კი არ აინტერესებს, სააკაშვილმა სად რა გახსნა, არამედ ივანიშვილმა კიდევ რა თქვა. ივანიშვილს ჯერ ქმედება არ დაუწყია.

***— გამორიცხავთ, რომ ხელისუფლებამ წარმოადგინოს რუსულ ინტერესებთან დაკავშირებული სერიალები ივანიშვილთან მიმართებით?***

— იმდენად მოძველდა მათი ეს რუსეთთან დაკავშირება, ლებედი, ელცინი და ა.შ., რომ ამას საზოგადოებაში უარყოფითი რეაქცია არ მოჰყვება. რეგიონებში შეიძლება ამან პირიქითაც იმუშაოს. ხალხი იფიქრებს, ამ კაცს რუსეთთან სიტუაციის დალაგების საშუალება აქვსო. არავინ იფიქრებს, რომ ივანიშვილი კრემლის კაცია.

# ალეკო შალამბერიძე: „მიშას მოტანილს მიშავე წაიღებს“

## „ზურაბ აბაშიძესა და ვიქტორ დოლიძეს უნდა სცოდნოდათ, რომ სააკაშვილი მათ მალე მოიშორებდა“

გასული კვირის მიწურულს ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გაგვაოგნა. 28 ოქტომბერს თანამდებობიდან გადააყენეს ვიქტორ დოლიძე და ზურაბ აბაშიძე. ერთ მათგანს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტი ეკავა, მეორეს კი – კომისიის თავკაცისა. ეს თანამდებობები, სხვა ოპოზიციონერების მსგავსად, მათ გასული წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მიიღეს.

ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევდა, რომ ისინი ამ თანამდებობებს არ უნდა დათანხმებოდნენ. გასულ წელს ალეკო შალამბერიძემ „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ სააკაშვილი ოპოზიციონერებს თანამდებობიდან მაშინ გადააყენებდა, როცა თავად მოისურვებდა. ეს სურვილი სააკაშვილს ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ გაუჩნდა. ეს გასაკვირი არც არის, რამეთუ აბაშიძისა და დოლიძის პარტიის შეფი ირაკლი ალასანია ივანიშვილთან თანამშრომლობს.

რატომ არის ხელისუფლების მეთოდები მიუღებელი და რატომ არ უნდა დათანხმებოდა ოპოზიცია თანამდებობებს, ამის შესახებ ალეკო შალამბერიძე გვესაუბრება.


ალეკო შალამბერიძე

თეა მარხვაიძე

ე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ალეკო შალამბერიძე:**

– მე ჯერ კიდევ შარშან ვთქვი. რომ ხელისუფლება, როცა მოინდომებდა, მაშინ წაართმევდა თანამდებობებს საკრებულოში მოხვედრილ ოპოზიციონერებს. შარშან სააკაშვილმა თვითმმართველობის არჩევნები გაყალბებით მოიგო. თავისი უკანონობა რომ დემოკრატიულად შეეფუთა, ოპოზიციას გადაუგდო ძვალი. მათ საკრებულოში თანამდებობები დაურიგა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ოპოზიციის ნაწილმა მაშინ დიდი როლი შეასრულა იმ სიყალბის „გაპრავებაში“. თავიდან ერთად კარგად მუშაობდნენ პოზიცია და ოპოზიცია, მაგრამ, როცა ივანიშვილი გამოჩნდა, სააკაშვილს შეეშინდა და ეს თანამდებობები უკან წაიღო. ხომ გაგიგიათ, მიშას მოტანილს მიშავე წაიღებსო.

***– რატომ აბრალებთ ამას მაინცდამაინც სააკაშვილს? იქნებ საკუთარი ინიციატივით გადააყენეს სხვა ნაციონალებმა დოლიძე და აბაშიძე?***

– რა სხვა ნაციონალები, გიგი უგულავა ან ზაალ სამადაშვილი. ეს არის სააკაშვილის გადაწყვეტილება. მოგეხსენებათ, ერთ ხანს ნაციონალებში ვიყავი და კარგად ვიცნობ მათ მოდგმას. ისიც შევისწავლე, როდის დგამს სააკაშვილი ასეთ ნაბიჯებს. ის ძალიან შეშინებულია და ამიტომაც დაადგა ამ გზას.

***– ფიქრობთ, რომ მხოლოდ შიშის გამო გადააყენებინა ეს ადამიანები პოსტებიდან?***

– რა თქმა უნდა, შიშის გამო. ივანიშვილის გამო ძალიან არიან შეშინებულები. ის ფაქტი, რომელიც საკრებულოში წინა პარასკევს მოხდა, ყველასთვის მაგალითი უნდა იყოს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ თუ შენ არ მონაწილეობ პოლიტიკურ პროცესში, არა გყავს საჭირო რაოდენობის ხალხი, შენი გადაწყვეტილებების გასატანად არ არის საჭირო, სააკაშვილის გადმოგდებული ძვალი აიღო. მათ თავის დროზე შეცდომა დაუშვეს და თანაც – დიდი. და არც მათ ლიდერს ირაკლი ალასანიას არ უნდა მიელოცა უგულავასთვის. მიულოცა და მის თანაგუნდელებს თანამდებობები მისცეს. ახლა, როცა ივანიშვილს გაუერთიანდა, მის თანაგუნდელებს პოსტები ჩამოართვეს. ეს ხელისუფლება უბედური მეთოდებით მოქმედებს. სამწუხაროდ, ოპოზიციაც დიდ შეცდომებს უშვებს.

***– დღეს უკვე ცნობილი გახდა, რა საქმეები გააკეთა ამ წლების განმავლობაში ივანიშვილმა, რომელსაც აქამდე ხელისუფლება თავის ანგარიშზე მიიწერდა. რატომ არაფერი თქვა ადრე ივანიშვილმა ამაზე და რატომ ხდება ეს ცნობილი მას შემდეგ, რაც ბიზნესმენი ხელისუფლებას დაუპირისპირდა?***

– სხვათა შორის, ეს ადამიანის ნებაა, იტყვის თუ არა თავისი ნაკეთები საქმეების შესახებ ხმამაღლა. ის ყოველთვის ჩუმად აკეთებდა საქმეებს. სწორედ ეს არის ქველმოქმედება. ივანიშვილი არავის ამადლიდა. ახლა პოლიტიკაში მოსვლა მოინდომა. ამის უფლება ყველას აქვს. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ მას ამაში ხელი შეუშალოს. მათ ივანიშვილის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, უბრალოდ, ის ვერ აუტანიათ, რომ მის ფულებს ველარ გამოიყენებენ. ისე გათავხედდნენ, რომ მას მოქალაქეობაც კი ჩამოართვეს. ეს მათ ასე იოლად არ შერჩებათ. ხელისუფლების ასეთმა თავხედობამ ივანიშვილის მიმართ სიმპათიები კიდევ უფრო გაზარდა. ხალხი მას უჭერს მხარს.

***– საიდან იცით, რომ ხალხი მას უჭერს მხარს?***

– გამოკითხვები ჩატარდა, სადაც გაირკვა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მას უჭერს მხარს. ეს მხარდაჭერა 2 მომენტით არის განპირობებული. მოსახლეობისთვის უკვე აუტანელია ტერორი, ყვლეფა და ხელისუფლების გაუმაძღრობა. ამასთან, ადამიანებს აქვთ სამართლიანობის შეგრძნება. ისინი დაჩაგრული კაცის მხარეზე არიან.

***– ივანიშვილი დაჩაგრულია?***

– აბა რა არის. ადამიანს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს მხოლოდ იმის გამო, რომ მან პოლიტიკაში მოინდომა მოსვლა. კანონიერად რომ მიეღოთ ეს გადაწყვეტილება, არავინ არაფერს იტყოდა. ამათ კი მხოლოდ იმიტომ წაართვეს მოქალაქეობა, რომ ივანიშვილს პოლიტიკაში მოსვლა სურს.

# 26 მაისისა და 7 ნოემბრის დარბევებზე ხელისუფლება პასუხს აუცილებლად აგებს!

თეა მარხვაიძე

**საპარლამენტო ფრაქციამ „ერთობა სამართლიანობისთვის“ საპარლამენტო კომისიის შექმნა მოითხოვა. ამ კომისიას 26 მაისისა და 7 ნოემბრის დარბევის ფაქტები უნდა შეესწავლა. ფრაქციის თავკაცმა გიორგი ცაგარეიშვილმა თავიდანვე თქვა, რომ ნაციონალები ამ კომისიის შექმნას არ დაუშვებდნენ. ამის მიუხედავად, საკითხი დღის წესრიგში მაინც შეიტანეს და, როგორც მოსალოდნელი იყო, ის ჩავარდა.**

ნაციონალები ამ სისასტიკის შესწავლას რომ არ დაუშვებდნენ, ყველამ იცოდა. თუმცა მათი ცინიზმი მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა. ნაციონალების ცინიკოსები ნუგზარ წიკლაურის თამადობით საშინელ განცხადებებს აკეთებდნენ, რამაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. აღშფოთდა ოპოზიციაც. გიორგი ცაგარეიშვილი დარწმუნებულია, რომ ადრე თუ გვიან ხელისუფლება ამ სისასტიკეზე პასუხს აუცილებლად აგებს.

ამაში ეჭვი არც „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერ ვახტანგ ყოლბაიას ეპარება.

– მე მათგან სხვას არაფერს ველოდი. ბუნებრივია, რომ ისინი არ დაუშვებდნენ საპარლამენტო კომისიის შექმნას. მათ არაფერში აწყობთ სიმართლის დადგენა. ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ აღმაშფოთებელი იყო მათი შეფასებები. ეს შეფასებები საზოგადოებისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. სხვა თუ არაფერი, იმ დღეს პოლიციელიც დაიღუპა. აქციის მონაწილეთა სიკვდილი თუ არ ადარდებთ, პოლიციელის სიკვდილის ნამდვილი მიზეზის შესწავლა მაინც არ სურთ? – კითხულობს ყოლბაია.


ვახტანგ ყოლბაია

მისი თქმით, პოლიციელის მკვლელობის ბრალდებით გასამართლებული მძღოლები უდანაშაულოები არიან. ყოლბაიას სჯერა, რომ ადრე თუ გვიან სიმართლე გაირკვევა და ნამდვილი დამნაშავეები დაისჯებიან.

– საპარლამენტო კომისიის შექმნაზე უარი განაცხადეს? კი ბატონო. ამით ეს საქმე არ დასრულებულა. 26 მაისისა და 7 ნოემბრის დარბევის საქმე აუცილებლად იქნება შესწავლილი და დამნაშავეებიც დაისჯებიან, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ყოლბაია.

მისი თქმით, 26 მაისის ტრაგედიამ ქართველ საზოგადოებასა და ოპოზიციაზე დიდი გავლენა მოახდინა.

– 26-მა მაისმა ბევრი რამე შეცვალა. ჩვენმა მოსახლეობამ კიდევ ერთხელ დაინახა ამ რეჟიმის ნამდვილი სახე. 26-მა მაისმა ყველას დაანახვა, რომ ხელისუფლება არავის დაინდობს. ძალიან ბევრმა ოპოზიციონერმა გააცნობიერა, რომ ამ ხელისუფლებასთან ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა კანონიერი ფორმებით. სადაც საჭიროა, იქ მოლაპარაკებაც უნდა გავმართოთ, თუმცა, საეჭვოა, ამ მოლაპარაკებებმა შედეგი გამოიღოს. ხელისუფლების ხელში დღეს დიდი ფული და ძალოვანი სტრუქტურებია. ეს კი ძალიან დიდი ძალაა. ოპოზიციის ძალა ერთობაშია. ხელისუფლება მხოლოდ ძალას უწევს ანგარიშს. ჩვენ მათ ეს ძალა უნდა დავანახვოთ. ძალას როცა ვამბობ, ცხადია, პულიმიოტსა და ავტომატს არ ვგულისხმობ, – აღნიშნავს ყოლბაია.

მართალია, კომისია არ შეიქმნა, მაგრამ ყოლბაია მაინც კმაყოფილია, ეს საკითხი დღის წესრიგში რომ დადგა.

– ხალხმა კიდევ ერთხელ დაინახა ამათი ცინიკური დამოკიდებულება მოსახლეობის მიმართ. ეს სხდომა მნიშვნელოვანი არ ყოფილა. გაცილებით მნიშვნელოვანი იყო ფრაქციის სხდომა, რომელიც ერთი დღით ადრე ჩატარდა. ამ სხდომას 26 მაისსა და 7 ნოემბერს დარბეული ადამიანები ესწრებოდნენ. ისინი საოცარ რამეებს ყვებოდნენ. ერთ-ერთი იყო აფხაზეთის ომის მონაწილე, რომელიც ომის დროს აფხაზებს ტყვედ ჩაუვარდა. მან თქვა, რომ ასეთი სისასტიკე მოწინააღმდეგისგანაც არ უგრძვნია, – ამბობს ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი.

ის დარწმუნებულია, რომ ხელისუფლების ცინიზმს, სისასტიკესა და უკანონობას მოსახლეობა სათანადო შეფასებას მისცემს. მას ასევე სჯერა, რომ დამნაშავეები დაისჯებიან.

# „არ გამოვრიცხავ, რუსის ჯარი თბილისთან მოვიდეს“

## რატომ აღარ გვაქცევს ყურადღებას ამერიკა

გულიკო ბალაძე

**გასული კვირის ერთ-ერთი მთავარი თემა საქართველოს ნატოსთან ურთიერთობა იყო. საქართველოს ნატოს მაღალჩინოსანი ჯეიმს აპატურაი სტუმრობდა. მას შეხვედრები ჰქონდა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან. აპატურაი ნატოს გენერალური მდივნის საქართველოში ვიზიტსაც ამზადებს.**

არავინ იცის, შეხვედრებზე რეალურად რა საკითხებზე იმსჯელეს, მაგრამ, ფაქტი ერთია – ბოლო პერიოდში ნატოში საქართველოს გაწევრიანების თემა კვლავ გააქტიურდა.

საინტერესოა, ამ თემის გააქტიურება მოსალოდნელ შედეგთან არის დაკავშირებული თუ მხოლოდ ხელისუფლებისთვის სასარგებლო პიარია, ნატოს წევრ რიგ ქვეყნებს ჩვენი ალიანსში მიღება არ უნდათ და კვლავ გაპამპულებულს დაგვტოვებენ?

უპარტიოთა მოძრაობის წევრი მამუკა გვაძაბია აცხადებს. რომ მომდევნო ორი წელი საქართველოსთვის იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც გახდება წყალგამყოფი საქართველოს უახლესი წარსულის გარკვეულ მონაკვეთებსა და მომავალს შორის.

– მომდევნო ორი წლის განმავლობაში გამოიკვეთება, საქართველოს იმპერიის მაჩანჩალა სახელმწიფოდ უწერია დარჩენა თუ მომავალში გარანტირებული ექნება მინიმუმ ნახევარი საუკუნით მაინც უსაფრთხოების ეფექტურ სისტემებში თანამონაწილეობა და, შესაბამისად, ქვეყნის უსაფრთხოების, დემოკრატიის, სასამართლო სისტემის ეფექტურობის, სოციალური პირობების სულ სხვა საფეხურზე გადასვლა. შემდგომი ორი წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო დადგება ძალიან სერიოზული გამოცდის წინაშე. ეს სერიოზული გამოცდა იქნება როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციისა და, საერთოდ, საქართველოს მთელი საზოგადოებისთვის. მოსალოდნელია ძალიან სერიოზული წნეხი ქართულ სახელმწიფოზე, რომ საქართველო არ შეუერთდეს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკ ნატოს, – განაცხადა მამუკა გვაძაბიამ, – რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის წარმომადგენლებმა (ეს კრემლის გახმოვანებული პოზიციაა), კერძოდ კი ნატოში რუსეთის წარმომადგენელმა რაგოზინმა განაცხადა, რომ ქვეყნის უპირველესი მიღწევა თურმე საქართველოს (და უკრაინისთვის) ნატოში არგაწევრიანებაა. ე.ი. რუსეთი თავისი პოლიტიკის უპირველეს მიზნად ისახავს იმას, რომ საქართელო არ გაწევრიანდეს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკ ნატოში. ამისთვის მომდევნო ორი წლის განმავლობაში ის ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ეს პროცესი ჩაიშალოს.

მამუკა გვაძაბიას თქმით, „საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესი წარმატებით რომ დაგვირგვინდეს, საჭიროა ამერიკის შეერთებული შტატების ეფექტური მხარდაჭერა. ამ დროს აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაცია ჩემთვის გაუგებრად პასიურობს. მე არ ვარ პოლიტიკური კონიუნქტურებით შებოჭილი“.

***– ბატონო მამუკა, აშშ-ის პასიურობა, როგორც ამას თქვენ ამბობთ, რას უკავშირდება?***

– სამწუხაროდ, ამერიკის დღევანდელმა ადმინისტრაციამ საქართველოსთვის იარაღის მიყიდვის პროცესი შეაჩერა. თუმცა, კონგრესისა და სენატის დეპუტატები ამერიკის ადმინისტრაციას მოუწოდებენ, სამხედრო და უსაფრთხოების თვალსაზრისით საქართველოსთან ითანამშრომლონ. ამერიკის ადმინისტრაციის პოზიცია ამერიკა-საქართველოს ქარტიის პირობების დარღვევად მიმაჩნია. ამერიკის ადმინისტრაციას რესპუბლიკელებიცა და დემოკრატებიც მოუწოდებენ, როდესაც საქართველო ნატოს არაწევრი ქვეყნებიდან ყველაზე ძლიერადაა წარმოდგენილი ავღანეთში, როდესაც საქართველომ რამდენიმე ათეული ჯარისკაცი დაკარგა ავღანეთში, როდესაც თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებს, რომ ღირსეულად იყოს წარმოდგენილი ნატოში, ამ დროს მოკავშირეებს ასე არ ექცევიან.

***– თუ ვინმემ ჩაშალა ნატოში შესვლა, ეს არის საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება. თუმცა, ახლა კვლავ გააქტიურდა ნატოში შესვლის საკითხი. კიდევ ხომ გვაძახებინებენ, ნატოში შევდივართ, ნატოში შევდივართო და მოტყუებულს არ დაგვტოვებენ?***

– ნატოში გაწევრიანების საკითხში წარუმატებლობის მიზეზი საქართველოში არ მინდა ვეძებო.

***– ხელს რა უშლის ხელისუფლებას, ქვეყანაში დემოკრატია და სასამართლოს დამოუკიდებლობა რომ ვერ უზრუნველყო?***

– ამ შემთხვევაში ხელისუფლების ვექილად ვერ გამოვდგები და არც ვიქნები. ეს ჩემს პოლიტიკურ ინტერესებში არ შედის. თუმცა, როდესაც რუსეთის სახელმწიფო ამბობს, რომ უპირველესი მიღწევა საქართველოსთვის გაწევრიანების ჩაშლაა, ამ ვითარებაში მიზეზები ქვეყნის შიგნით რომ ვეძებოთ, სწორად არ მიმაჩნია. თუმცა, შეცდომები დაშვებულ იქნა დემოკრატიისა თუ სასამართლოს თვალსაზრისით. ჩვენც ვიცით ეს ყველაფერი, მაგრამ არსებობს იმის მაგალითები, რომ ქვეყნები დემოკრატიული განვითარების გარეშე მიუღიათ ნატოს წევრად. მაგალითად, თურქეთი ნატოში გაწევრიანდა ნატოს წარმოშობიდან რამდენიმე წელიწადში. წარმოიდგინეთ თურქეთის დემოკრატიის დონე. პოსტფრანკოული ესპანეთი გაწევრიანდა, თუ არ ვცდები, 1983 წელს. რა, იდეალური დემოკრატია იყო ამ ქვეყნებში?

***– თურქეთსა და ესპანეთთან დაკავშირებით დიდი ინტერესი იყო. როგორც ჩანს, საქართველოსთან დაკავშირებით იმხელა ინტერესი არ არსებობს, რომ ყველაფერზე თვალი დახუჭონ.***

– გასაგებია, პოლიტიკურმა მიზანშეწონილობამ იმ შემთხვევაში დემოკრატიის რაღაც კრიტერიუმები გადაწონა. ნატოში არის ორი მიმართულება – ერთია ამერიკა-ინგლისის, ანუ ჩერჩილიზმის მიმდევრები; მეორე – საფრანგეთ-გერმანი-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ცაგარეიშვილი ბიუროს სხდომაზე „ატსტუპნიკების“ საკითხს კიდევ ერთხელ დასვამს

პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი, ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი პარლამენტის დღეს დაგეგმილ ბიუროს სხდომაზე უმრავლესობის წევრებისაგან ბინათმოსარგებლეების (ე.წ.ატსტუპნიკების) შესახებ კანონპროექტის მათ ვარიანტს ელის. როგორც დეპუტატმა „მედიანიუსს“ განუცხადა, დღეს მოქმედ კანონმდებლობაში არსებობს ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, თუკი ბინით მოსარგებლე მესაკუთრესთან რაიმე შეთანხმებას ვერ მიაღწევს, მან 2012 წლის 1 იანვრიდან ბინა უნდა დატოვოს. ამ საკითხზე სხვა გზით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მას შეუძლია, დავა სასამართლოში განაგრძოს. „თავისუფალი დემოკრატების“ ინიციატივით კი პარლამენტში 5 თვის წინათ წარდგენილია კანონპროექტი, რომლითაც ისინი ამ თარიღის 3 წლით, ანუ 2015 წლამდე გადაწევას, ასევე სასამართლო ბაჟის, ექსპერტიზისა და საჯარო რეესტრის მოსაკრებლებისგან მათ გათავისუფლებას ითხოვენ. გიორგი ცაგარეიშვილის ინფორმაციით, სათანადო გადასახადები ხშირად 600-700 ლარს აღწევს.

— უმრავლესობა დაგვპირდა, რომ „ატსტუპნიკები“ სასამართლო ბაჟისაგან გათავისუფლდებიან. თარიღის გადაწევას კი კატეგორიულად ეწინააღმდეგება. არადა, მხოლოდ გადასახადისაგან მათ გათავისუფლებას ვადის შეუცვლელობის გარეშე აზრი არ აქვს, რადგან ახალი წლის ღამეს შესაძლოა, ასობით ადამიანი ღია ცის ქვეშ დარჩეს. უმრავლესობა „თავისუფალი დემოკრატების“ კანონპროექტს ბლოკავს, ხვალინდელ სხდომაზე კი მან საკუთარი ვარიანტი უნდა წარმოადგინოს, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა, რომლის ინფორმაციითაც, თბილისში „ატსტუპნიკების“ დაახლოებით 3000 ოჯახი ცხოვრობს.

**მედიანიუსი**

# გოგი ხუციშვილი: „შეშინებული ხელისუფლება სერიოზულ შეცდომებს უშვებს“

### ივანიშვილს ჯერ საკუთარი ტელევიზია უნდა გაეკეთებინა და საავშვილს მერე დაპირისპირებოდა

ნათია ხურცილავა

**ბიძინა ივანიშვილი 1 ნოემბერს ქართველი ჟურნალისტების კითხვებს უპასუხებს. აქამდე ის საზოგადოებასთან წერილობითი განცხადებებით ურთიერთობდა.**

**ივანიშვილს ეპისტოლარული ჟანრით ურთიერთობა ექსპერტების ნაწილმა დაუწუნა, ნაწილმა კი ეს წერილები პოლიტიკური პროცესების ანალიზად შეაფასა.**

**ასევე გამოითქვა მოსაზრება, რაც ივანიშვილისთვის მომგებიანი პოზიცია იყო.**

**1 ნოემბერს ბევრ კითხვას, რომელიც საზოგადოებას აქვს, პასუხი გაეცემა.**

**იქნება თუ არა ეს პასუხები ისეთი გულწრფელი, როგორიც იმ კითხვაზე, რომელიც ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას ეხებოდა, ეს პრესკონფერენციის შემდეგ გახდება ცნობილი.**

**ამ საკითხებთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელ გოგი ხუციშვილს ესაუბრა.**

***— ბატონო გოგი, თქვენი აზრით, ბიძინა ივანიშვილს ხელისუფლება რეალურ ოპონენტად განიხილავს თუ იგნორირებას ახდენს?***

— არა, ხელისუფლების მხრიდან იგნორირება არავითარ შემთხვევაში არ არის. ხელისუფლების მხარდამჭერ ტელეკომპანიებში დიდი ძალისხმევა ჩადეს იმისთვის, რომ რაც შეიძლებოდა უარყოფითი ინფორმაცია შეეგროვებინათ ბიძინა ივანიშვილზე, მოსკოვში მის ბიზნესზე, მის მოღვაწეობაზე. თუ რამე ნეგატივი შეიძლებოდა სადმე ყოფილიყო, უნდა შეეგროვებინა ადამიანების უზარმაზარ შტატს. ეს დავალება მათ მიიღეს. ამ ადამიანებს უნდა აღმოეჩინათ რამე. ის, შეკოწიწებული, რაც შეძლეს, აჩვენეს. ეს უკვე არ არის იგნორი. გარდა ამისა, როგორც კი ამ ადამიანმა გამოაცხადა, პოლიტიკაში ვერთვებიო, მაშინვე დაიწყო მის წინააღმდეგ ბრძოლა ისეთი მეთოდებით, როგორიც არის მოქალაქეობის ჩამორთმევა, თან არა მხოლოდ მისთვის, არამედ მისი მეუღლისთვისაც, რაც არანაირ კონტექსტსა და ლოგიკაში არ ჯდება. ეს არის ფსიქოლოგიური ზეწოლა და ასევე სხვების გაფრთხილებაც. ეს არის გზავნილი — ნახეთ, რა მოუვა ყველას, ვინც გაბედავს და დიდი ფულით პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაერთვება.

***— ხელისუფლების ასეთი რეაქცია რისი ხაზგასმაა?***

— ეს შეშინებული ოპონენტის რეაქციაა, მაგრამ, ამავე დროს, ოპონენტის, რომელიც არაფრის წინაშე არ დაიხევს უკან იმისთვის, რომ თავისი პოლიტიკური ოპონენტი გზიდან ჩამოიშოროს.

***— ჯერჯერობით ივანიშვილი წერილობით განცხადებებს აკეთებს, საჯაროდ არ გამოსულა. როგორ ფიქრობთ, ეს პოზიცია მის სასარგებლოდ მუშაობს თუ მის საწინააღმდეგოდ?***

— პირველი განცხადება რომ გაკეთდა, კომენტარები მთხოვეს, სადაც ჩემი ეჭვი გამოვთქვი. ეჭვის თვალით შევხედე პერსპექტივებს.

***— რატომ? რა იწვევდა თქვენს ეჭვებს?***

— მე ვიფიქრე, რომ არ შეიძლება პოლიტიკურ ბრძოლაში ამხელა მანქანის წინააღმდეგ ჩართვა, როდესაც არ გაქვს არც საკუთარი ტელევიზია, არც ჩამოყალიბებული პოლიტიკური გუნდი, პოლიტიკისთვის საჭირო სხვა ატრიბუტები. ამიტომ მომეჩვენა არასერიოზულად, მაგრამ, რომ დავინახე, როგორ განვითარდა მოვლენები, ვნახე, რომ სულ უფრო და უფრო სერიოზულ სახეს იღებს. შემიძლია ვთქვა, რომ იმ ნაბიჯებმა, რომლებიც აქამდე გადადგა ხელისუფლებამ, მთელ ამ პროცესს და ამ პიროვნებას უფრო მეტი პოპულარობა შემატა. ნიჰილიზმი, რომელიც თითქოსდა ახლდა ამ ყველაფერს, ხელისუფლების წინააღმდეგობამ გაფანტა და უფრო საინტერესო გახდა. ჯერჯერობით ჩანს, რომ იმის გამო, თითქოს ვიღაცამ თქვა, ივანიშვილი პუტინის კაციაო, უკან არავინ იხევს, რომ მხარდაჭერა გამოუცხადოს მას.



***— თქვენ ამბობთ, რომ მის სასარგებლოდ მოქმედებს და არა საწინააღმდეგოდ?***

— ჯერჯერობით ეს ყველაფერი ივანიშვილის სასარგებლოდ მოქმედებს და არა პირიქით, როგორც ხელისუფლებას ჰქონდა ჩაფიქრებული.

***— ბატონო გოგი, გამოყოფდით ისეთ შეცდომას, რომელიც ივანიშვილმა დაუშვა და შეიძლება ამით მის მომავალ პოლიტიკას ჩრდილი მიადგეს?***

— მე, პირადად, ასეთ შეცდომად ვთვლი მის მეორე ვრცელ განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა, ძალიან დაწვრილებით გამართულ პოლემიკას არცთუ ისე ცნობილ ადამიანებთან, ვგულისხმობ ნაკლებად პოლიტიკურ სახეებს. მათთან ურთიერთობის გარჩევა, დაპირისპირება ან, პირიქით, ქება, უარყოფითი დამოკიდებულება არ შეიძლება ყოფილიყო ასეთი სერიოზული განცხადების ნაწილი. ამის გაკეთება ცალკე შეიძლებოდა. რაღაცნაირად ჩავთვალე, რომ ეს არ იყო მომგებიანი პოზიცია, დანარჩენი, მე ვფიქრობ, საკმაოდ სერიოზული განცხადებაა.

— თქვენი პოზიცია მაინტერესებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ივანიშვილმა ია ანთაძესთან ინტერვიუში დააფიქსირა. რას იტყვით?

***— მისი პოზიცია მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ დიალოგი უნდა განვავითაროთ აფხაზებთან და ოსებთან და ეს აუცილებლად რუსეთთან დიალოგის ფონზე უნდა მოხდეს. სხვანაირად აფხაზებთან და ოსებთან დიალოგის გამართვა ძალიან რთულია. უშედეგოა, თუ პარალელურად არ მოხდა მცდელობა, რომ რაღაცნაირად ჩვენი მოლაპარაკება რუსეთთან გააქტიურდეს. ეს დავინახე მის პასუხში. რაღაც დათმობების ხარჯზე რომ აპირებდეს ამის გაკეთებას, ამას ვერ ვხედავ, ეს არ ჩანს. ისე, უფრო დეტალურად უნდა აგვიხსნას თავისი პოზიცია და უნდა გვითხრას, რას აპირებს და რა სტრატეგიით აპირებს. ეს, ალბათ, წინ არის.***

— თუმცა, ის ამბობს, რომ ორ-სამ წელიწადში, რა ვადაშიც ის ხელისუფლების დათმობას აპირებს, შეიძლება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ვერც მოხერხდეს, ვერ შეძლოს. ამის ხაზგასმა ღიად გააკეთა.

***— ეს, სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ რეალისტური დასკვნაა.***

— აფასებთ ამ გულწრფელობას?

— დიახ. რასაკვირველია. მე ვთვლი, რომ ვინც არ უნდა მოვიდეს, ღმერთიც რომ იყოს, რამდენიმე წელიწადში ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტს. ეს ხანგრძლივი პერსპექტივის გადაწყვეტის მქონე ამოცანაა.

# „ნატახტარმა“ ხარისხის მენეჯმენტისა და სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის რესერთიფიცირება წარმატებით გაიარა

27 ოქტომბერს კომპანია „ნატახტარში“ ხარისხის მენეჯმენტისა და სურსათის უვნებლობის მართვის ISO-9001:2008 სისტემის რესერთიფიცირების პროცესი წარმატებით დასრულდა.

შეგახსენებთ, რომ კომპანია „ნატახტარს“ ხარისხის მართვის HACCP-ის ISO-9001:2008 საერთაშორისო სერთიფიკატი შარშან, დეკემბერში მასერთიფიცირებელი ორგანო TUV SUD-ის მიერ მიენიჭა.

„მომხმარებლის მოთხოვნის მაღალი ხარისხით უზრნველყოფის მიზნით, ჩვენ შევიმუშავეთ და დავნერგეთ ხარისხის მენეჯმენტის და სურსათის უვნებლობის მართვის ინტეგრირებული სისტემა (ISO 9001:2008)“.

HACCP-ის სისტემის დანერგვით სს „ლომისი“ უზრუნველყოფს წარმოების მაღალი სტანდარტებით მუშაობას, რაც განაპირობებს მომხმარებლის ნდობის ამაღლებას, რადგან ჩვენი პროდუქტი, რომელსაც იგი მოიხმარს, ჯანმრთელობისათვის უვნებელია და დაცულია დაზიანებისაგან, მისი წარმოების ყველა ეტაპზე დამზადებიდან მომხმარებლამდე, მნიშვნელოვანია, რომ სურსათის ჰიგიენის საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, სს „ლომისი“-ს HACCP-ის სამუშაო ჯგუფი ადგენს სურსათის უვნებლობისთვის კრიტიკულ წერტილებს და HACCP-ის



გეგმის შესაბამისად ზრუნავს მათი მონიტორინგის და კონტროლის სათანადო ღონისძიებების შემუშავებაზე, რაც ეყრდნობა “CODEXALIMENTARIUSCOMMISSION“-ის სტანდარტებს და ასრულებს “GLOBAL FOOD SAFETY”-ის მიერ განსაზღვრულ ქმედებებს.

HACCP-ის სისტემა (Hazard Analysis and Critical Control Points – საფრთხის ანალიზი და კრიტიკული საკონტროლო წერტილები) სს „ლომისი“-ს ხარისხის მართვის სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია და წარმოდგენილია DINENISO 9001 სისტემასთან ერთად.

**„მომხმარებლის მოთხოვნის მაღალი ხარისხით უზრნველყოფისათვის, ჩვენმა კომპანიამ შეიმუშავა და დანერგა ხარისხის მენეჯმენტის და სურსათის უვნებლობის მართვის ინტეგრირებული სისტემა (ISO 9001:2008), რაც ადასტურებს იმას, რომ საწარმოს აქვს უნარი, შეინარჩუნოს მუდმივი ხარისხი ეფექტური მართვის მეშვეობით“,** — განმარტავს „ნატახტარის“ ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი და HACCP-ლიდერი მარინე ჭიღლაძე.

*აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სერთიფიკატის მფლობელი ბიზნესორგანიზაციისთვის ბევრად უფრო იოლია საერთაშორისო ბაზარზე გასვლა.*

*კომპანია „ნატახტარში“ მუდმივად ზრუნავენ ქარხნის ტექნიკურ გადაიარაღებაზე. უკვე ერთი წელია, „ნატახტარის“ საწარმოში გერმანული წარმოების Krones-ის ჩამომსხმელი ხაზი დამონტაჟდა და ექსპლუატაციაში შევიდა, რამაც განაპირობა პროდუქციის წარმადობის ზრდა და ჩამოსხმისა და შეფუთვის მაღალი ხარისხი. „კრონესი“ არის ლიდერი კომპანია ჩამომსხმელი და შესაფუთი ხაზების წარმოებაში.*

*საწარმოში ასევე ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტების მქონე ლაბორატორია, რომლის გადაიარაღება მუდმივი პროცესია და ხარისხის კონტროლის სრულყოფას ემსახურება.*








# კახა კუკავა: „ხელისუფლება რუსეთის ულტიმატუმს დათანხმდა“

ქეთი ხომერიკი



კახა კუკავა

**„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა თვლის, რომ საქართველო რუსეთის მსო–ში გაწევრიანებას აშშ–ისა და არა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე დათანხმდა. „ეს არის ეროვნული ინტერესების ღალატი, როდესაც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღება არა საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნის — აშშ–ის ინტერესების გათვალისწინებით“, — აცხადებს კუკავა. „ახალი თაობა“ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავას ესაუბრა.**

**კახა კუკავა:**

— არანაირი კომპრომისული წინადადებები არ არსებობს. საქართველომ მიიიღო ის ულტიმატუმი, რომელიც წაუყენა რუსულმა მხარემ. საქართველომ თავისი მოთხოვნა ფსოუსა და როკის გვირაბზე ქართველი მესაზღვრეებისა და მებაჟეების დაშვების შესახებ მოხსნა, არადა, ამით რუსეთს უნდა ეცნო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. აი, ეს მოთხოვნა მოხსნა და რაღაც სულელური მოთხოვნა დატოვა. ახლა რუსეთს წაეყენა მოთხოვნა ელექტრონული ინფორმაციების გაცვლის შესახებ და ეს საერთაშორისო მონიტორინგი ხომ საერთოდ უარესია.

***— რატომ ?***

— იმიტომ რომ ჩვენი მთავარი პრინციპი იყო არა ის, რომ გვაინტერესებდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გადაადგილებული ტვირთების რაოდენობა, არამედ გვაინტერესებდა ჩვენი საზღვრის დაფიქსირება. ეს პოლიტიკური საკითხი იყო. საერთაშორისო მონიტორინგი არაფერს ნიშნავს, საერთაშორისო მონიტორები უამრავ სხვადასხვა ადგილას არიან განლაგებულნი და ეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას არ ნიშნავს.

***— თუმცა, ხელისუფლება კმაყოფილია, დადებითად აფასებს ამას.***

— ხელისუფლება იმიტომ აფასებს ამას დადებითად, რომ ჩასვრილი აქვს და რაღაც სისულელეებს ლაპარაკობენ ახლა. ხელისუფლებამ რეალურად კაპიტულაცია გამოაცხადა და იმიტომ ხმაურობს ბევრს, რომ ამის გადაფარვა უნდა. და თუ ამჩნევთ, პრესაში ეს როგორ შუქდება, აი, საქართველომ წაუყენა ახალი წინადადება, რომელზეც ახლა რუსეთი ვითომ უნდა დათანხმდეს ან არა. სინამდვილეში ეს არის რუსეთის მოთხოვნები და აქ საქართველოს მთავრობის ერთადერთი მოთხოვნა იყო, მოდით, ეს გავაფორმოთ, როგორც შეთანხმება და არა როგორც კაპიტულაციაო. ეს დაიწერა საგარეო საქმეთა სამინისტროში, შემდეგ ეთხოვა შვეიცარიულ მხარეს, რომ ვითომ ეს იყო შვეიცარიული მხარის ინიციატივა.

***— და თუ თქვენ რასაც ამტკიცებთ, სიმართლეა, რას ნიშნავს ეს?***

— ეს ეროვნული ინტერესების ღალატია. თუ გახსოვთ, 6 ივნისს გამოვაქვეყნეთ განცხადება და შემდეგ ინტერვიუშიც გითხარით, რომ ეს საკითხი ჯერ კიდევ სააკაშვილი-ბაიდენის შეხვედრაზე, რომში გადაწყდა, როდესაც სააკაშვილს ბაიდენმა მუშტები უბრაგუნა მაგიდაზე და კატეგორიულად უთხრა — ან გასცემს საქართველო მსო-ში რუსეთის გაწევრიანებაზე თანხმობას, ან პოსტს დაგატოვებინებთო. და გახსოვთ, ალბათ, სააკაშვილი მიტკალივით გაფითრებული დაბრუნდა მაშინ საქართველოში.

***— მაშ, რატომ გაიწელა ეს პროცესი?***

— არაფერიც არ გაიწელა. რამდენიმეთვიანი პროცედურა, როცა ასეთ საერთაშორისო მოლაპარაკებებს ეხება საკითხი, ჩვეულებრივი ამბავია, გარდა ამისა, სააკაშვილმა ითხოვა რამდენიმე თვე (ზუსტად იმის გამო, რომ ჩვენ ეს ინფორმაცია გავავრცელეთ), რომ ეს არ ყოფილიყო მიბმული ბაიდენის შეხვედრაზე. ახლაც თქვენ ხედავთ, რომ რაღაც საგანგებო პროპაგანდისტული ფორმაა შერჩეული, რომ ვითომ საქართველო კი არ აცხადებს კაპიტულაციას, არამედ, რაღაც კომპრომისული ვარიანტი მოიძებნა. არანაირი კომპრომისული ვარიანტი არ არსებობს. რაშია კომპრომისი? ჩვენი მხრიდან გასაგებია, რაშიც, მაგრამ რუსეთი რა კომპრომისზე მიდის? ელექტრონული ინფორმაციების გამოგზავნაა კომპრომისი? შედით ინტერნეტში და ნახავთ, ამას რად უნდა გამოგზავნა.

***— და რა პოზიცია უნდა დაეკავებინა ქართულ მხარეს, რა უნდა მოეთხოვა, უნდა დათანხმებოდა რუსეთის მსო-ში გაწევრიანებას, ვეტოს უფლება გამოეყენებინა თუ?***

— საქართველოს უნდა დაეყენებინა თავისი მოთხოვნები ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე და, პირველ რიგში, ეს იყო ექსპორტის განახლება. დღეს საქართველოს მოსახლეობის 99% ჩვენი პარტიის ინციატივას უჭერს მხარს. ყველა სოციოლოგიური კვლევა ამას აჩვენებს. ეს არის რუსეთის ბაზარზე ექსპორტის განახლება, ციტრუსის, ჩაის, ღვინის და ა.შ.

***— სხვათა შორის, სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რუსული ბაზარი არ გვჭირდებაო.***

— დიახ, სააკაშვილი აცხადებს, რუსეთის ბაზარი არ გვჭირდებაო და დაავალა კიდეც თავის გუნდს, არ გაიტანოთ ჩვენი პროდუქცია რუსეთის ბაზარზე, გაიტანეთ კანადის ბაზარზეო. არადა, ჩვენ რუსეთთან სწორედ ის მოთხოვნები უნდა დაგვეყენებინა, რომ მომხდარიყო საქართველოს ექსპორტის განახლება რუსეთის ფედერაციაში. მოკლედ, საქართველომ წააგო. დიახ, წააგო ის, რომ დაკარგა ეს პოლიტიკური ბერკეტი და ვერაფერი მოიგო.

***— რაც შეეხება ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნებას, რამდენად რეალურია ეს, როდესაც პრეზიდენტი აცხადებს, ქვეყანას რუსეთის ბაზარი არ სჭირდებაო?***

— სააკაშვილს არ სჭირდება რუსეთის ბაზარი ერთადერთი მიზეზის გამო — ,,თავისუფალ საქართველოს“ რომ არ გაუკეთოს პიარი, რადგან მაშინ, როდესაც ყველა იძახდა, რუსეთის ბაზარი არ გვჭირდებაო, ჩვენ გამოვედით და ვთქვით ეს, რის გამოც ყველა ორჯონიკიძეებსა და რუსეთის ჯაშუშებს გვეძახდა, სხვათა შორის, ოპოზიციური პარტიებიც გვლანძღავდნენ, მაგრამ, ახლა გაირკვა, რომ მათი საარჩევნო კოდექსები, კონსტიტუციები და სისულელეები არავის აინტერესებს. ხალხს აინტერესებს მხოლოდ ის, რაზეც „თავისუფალი საქართველო“ ელაპარაკება.

***— და თქვენ თვლით, რომ ხელისუფლების გვერდის ავლით ქართული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე დაბრუნება მოხერხდება?***

— მოხერხდება, რადგან ჩვენ გვყავს პარტნიორი კომპანიები, რომლებიც მზად არიან, მზა პროდუქცია მიაწოდონ შუამავალ კომპანიებს, რომლებიც საკუთარ თავზე იღებენ ამ პროდუქციის შეტანას რუსეთის ფედერაციაში.

***— სააკაშვილ-ბაიდენის თემას დავუბრუნდეთ. აშშ-ის საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის მხრიდან რატომ იყო ზეწოლა საქართველოზე და ქვეყნის პირველ პირზე?***

— თავი დაანებეთ ამ სისულელეებს, საქართველო არ არის არავისი სტრატეგიული პარტნიორი. საქართველო არის აშშ-ის კოლონია, ხოლო აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი რუსეთია. აი, ეს მიიღეთ, როგორც საფუძველი და, აქედან გამომდინარე, გააკეთეთ დასკვნები.

***— და რომ არა ზეწოლა აშშ-ის მხრიდან, რას იზამდა ქართული მხარე, მაინც გადადგამდა ამ ნაბიჯს?***

— შეიძლება, სხვა მიზეზის გამო გადაედგა. თქვენ იცით, რომ ჩვენი ხელისუფლება იღებს დიდი რაოდენობით ქრთამს და, მიუხედავად დეკლარირებული ანტირუსული კურსისა, საქართველოში ბევრი რუსი ბიზნესმენი აკეთებს ბიზნესს. აი, ახლახან გაიყიდა ჩვენი ბოლნისის ოქროს მადანი რუს ბიზნესმენზე, ჰესები რუს ბიზნესმენებზეა გაყიდული და ა.შ. ანუ რუსულ ქრთამს საქართველოს ხელისუფლება კარგად ჰკიდებს ხელს და მაშინ არ ახსოვს, რომ ამ რუბლებზე რუსეთის სახელმწიფო გერბია გამოსახული. ეს არ აწუხებს ხოლმე.

***— რუბლების რა გითხრათ, მაგრამ ივანიშვილის ფულზე არ ამბობდა უარს. მილიარდერის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებს აფასებთ თუ არა რეპრესიებად და რამდენად პერსპექტიული იქნება ივანიშვილ-ალასანია-რესპუბლიკელების პოლიტიკური გაერთიანება, თუ შეიქმნა?***

— თავს შევიკავებ ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებისაგან, მით უფრო, რომ რესპუბლიკური პარტიის, ასევე ალასანიას შესახებ ჩვენი დამოკიდებულება არაერთხელ გამოგვიხატავს. ეს არ არის რეპრესიები, ეს უფრო პროვოკაციებად შეიძლება შეფასდეს და სამომავლოდ აპირებენ თუ არა რეპრესიების დაწყებას, არ ვიცი, მაგრამ, მაგალითად, აბაშიძისა და დოლიძის გათავისუფლება თანამდებობებიდან რაღაც ამგვარს ჰგავს. რა ჰგონიათ, მილიარდერთან კავშირს გააწყვეტინებენ პოლიტიკურ ძალას თუ 2 ათას ლარიან ხელფასს მოუხსნიან? ეს ხელისუფლების აბსოლუტურად არაადეკვატური პანიკაა.

## ევროსტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანებას უახლოეს წლებში გამორიცხავენ

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ წევრი, საერთაშორისო საკითხებში ექსპერტი კახა ხანდოლიშვილი ნატო-ში და ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებას უახლოეს წლებში გამორიცხავს.

ხანდოლიშვილის განცხადებით, ხელისუფლება კვლავ აგრძელებს საკუთარი მოსახლეობის მოტყუებას ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებათან დაკავშირებით. მისი თქმით, მსგავსი განცხადებები ხშირად ისმის საკაშვილის, ბარამიძის, ვაშაძის თუ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მხრიდან. ექსპერტის განცხადებით, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ საქართველო ძალიან დაშორდა ამ მიზანს და ამის ნათელი დადასტურებაა, ნატო-ს გერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაის განცხადებები მოსკოვსა და თბილისში.

— ნატო, რა თქმა უნდა, კვლავ იმეორებს საკუთარ პოზიციას, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ამ ორგანიზაციის წევრი, მაგრამ არ აკონკრეტებს ეს 5 თუ 20 წელიწადში მოხდება. 2008 წლამდე საქართველო ნატო-სთან IPAP-ს და ID-ს ფარგლებში თანამშრომლობდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ იმ პერიოდისთვის რეფორმების თვალსაზრისით, განსაკუთრებით თავდაცვისა და უშიშროების სფეროში, საქართველო უფრო მზად იყო ნატო-ში გასაწევრიანებლად, ვიდრე ბულგარეთი და რუმინეთი გაწევრიანების წინ. დღეს კი ნატო საქართველოსგან „პრაქტიკულ და პოლიტიკურ“ ნაბიჯებს ითხოვს, რათა ნატო-ს სტანდარტები დავაკმაყოფილოთ. საქართველოს ალიანსში გასაწევრიანებლად აუცილებელია ორი ძირითადი ფაქტორი: 1. საქართველოში დემოკრატიული გარემოს შექმნა და სამართლიანი არჩევნების ჩატარება, 2. საქართველოს გაწევრიანებისთვის საერთაშორისო წინაღმდეგობის მინიმუმ შემცირება, — განაცხადა ხანდოლიშვილმა.

მისივე თქმით, 26 მაისიც და ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენასთან დაკავშირებული მოვლენებიც ადასტურებს რომ ხელისუფლებას არანაირი სურვილი არ აქვს, საქართველოში დემოკრატიული რეფორმები განახორციელოს და ცდილობს ძალაუფლება ავტორიტარიზმის გზით შეინარჩუნოს. ხანდოლიშვილი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო მიმართულებით მხოლოდ ახალი ხელისუფლების პირობებში იქნება შესაძლებელი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის დახმარებით რუსეთის კატეგორიული წინააღმდეგობის შესუსტება.

**ინტერპრესნიუსი**

# „არ გამოვრიცხავ, რუსის ჯარი თბილისთან მოვიდეს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ის, ანუ დე გოლის მიმდევრები. როგორც ერთი, ისე მეორე დოქტრინის მიხედვით საქართველოს თავისი ადგილი უჭირავს ევროატლანტიკურ ინტეგრაციაში, მაგრამ გერმანია-საფრანგეთის დოქტრინა გეუბნება, დღეს არსებული პოლიტიკური მიზანშეწონილობა პოლიტიკური მიზანშეწონილობა არ არისო. ისინი რუსეთისკენ იხედებიან. დე გოლისა და ადენაუერის პოლიტიკამ ტრანსფორმაცია კი არ განიცადა იმ ეტაპზე, როდესაც ჩვენ მაპზე უარი გვითხრეს, არამედ გაშრიოდერდა იმდენად, რამდენადაც, ფაქტობრივად, გერმანიის ყოფილი კანცლერი „გაზპრომში“ მუშაობს. ის „გაზპრომის“ სტრუქტურებში მუშაობს გერმანიაში, „გაზპრომი“ უხდის ფულს. „გაზპრომის“ საცეცები ევროპის პოლიტიკურ ისტებლიშმენტსაც მოებღაუჭა. საქართველოში ევროპიდან, მათ შორის, გერმანიიდან, გაშრიოდერებული „გაზპრომის“ ფული შემოდის. დააკვირდით იმ არასამთავრობოების, პოლიტიკური ორგანიზაციების, პოლიტიკოსების ქცევას, განცხადებებს, რომლებიც იკვებებიან, მათ შორის, გერმანიიდან შემოსული, გაშრიოდერებული ფულებით.

***— ვინ არიან ისინი?***

— საქართველოში ასეთი ბევრია. არ მინდა, მოსამართლისა და პროკურორის როლში გამოვიდე, პოლიტიკურ განცხადებას ვაკეთებ. ეს მოიძიოს მან, ვისაც ევალება.



მამუკა გვაძაბია

***— ამერიკის ახალი ადმინისტრაციის მოსვლის დღიდან დაიწყო ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების გადატვირთვის პოლიტიკა. რეალურად, ეს პოლიტიკა ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესებას ითვალისწინებს. ამ დღეებში ამერიკის კარნეგის ცენტრში მსჯელობდნენ ამ საკითხებზე და მადლენ ოლბრაიტმა განაცხადა, რომ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების გაუარესება არ შეიძლება. რეალურად, რამდენად შეესაბამება საქართველოს გეგმები, ამერიკის საქართველოსადმი დამოკიდებულება და ამერიკის რუსეთთან დაკავშირებული გადატვირთვის პოლიტიკა?***

— მომდევნო ორ წელიწადში ქვეყანაში წარმოშობილი შესაძლო სიძნელეები შემთხვევით არ ვახსენე. მომდევნო ორ წელიწადში საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები ჩატარდება — საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. ჩვენ თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოებისთვის შემოთავაზებული თამაშის წესები მივიღეთ. ეს არის საერთაშორისო სამართალი, დემოკრატიული პრინციპების ერთგულება, საზღვრების ურღვევობა და ა.შ. ამ თამაშის წესებს ჩვენი დიდი მეზობელი არ აღიარებს. ჩვენ ამ თამაშის წესებით ვმოქმედებთ. მოსალოდნელია სამხრეთ კავკასიაში ნატოს წარმომადგენლის ვიზიტი, შემდეგ ნატოს ელჩებისა და ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტი. საქართველოში ასეთი ვიზიტები შემთხვევით არ ხდება. ვინაიდან ზოგიერთი ჩვენი ევროპელი მეგობარი პოლიტიკურ მიზანშეწონილობას მიზანშეუწონლად მიიჩნევს, გვეუბნებიან, რომ ჩვენ რაღაც სტანდარტებში უნდა მოვექცეთ და მათი თამაშის წესებს მივუახლოვდეთ. ამიტომ მომდევნო ორი წლის განმავლობაში დაუშვებელია საქართველოში დესტაბილიზაციის მომზადება.

***— რა დესტაბილიზაციის მომზადებაზე საუბრობთ?***

— არ გამოვრიცხავ, საქართველოში მოეწყოს ისეთი გამოსვლები, სადაც შეტაკებების პროვოცირება მოხდება. ამას რუსეთი გააკეთებს. ეს არის მოსალოდნელი ჩიკაგოს სამიტის წინ, სადაც შეიძლება, როგორც არასდროს (მიუხედავად იმისა, ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაცია ისე, როგორც არასდროს, პასიურობს, თუმცა, ძალიან სერიოზულ ზეწოლას განიცდის, განსაკუთრებით, რესპუბლიკელებისაგან და არა მხოლოდ მათგან), მოსალოდნელია, ჩიკაგოს ნატოს სამიტზე საქართველო ალიანსს დაუახლოვდეს, თუ რაიმე ხელისშემშლელი არ იქნება. არ არის გამორიცხული, ნატოს სამიტის წინ ვილაც საქართველოში დესტაბილიზაციას გეგმავდეს.

***— თქვენი ინფორმაციით, ნატოს ჩიკაგოს სამიტზე საქართველოსთან დაკავშირებით რაიმე მნიშვნელოვანი იგეგმება?***

— ჩიკაგოს სამიტზე საქართველოსთან დაკავშირებით გაკეთდება კონკრეტული განცხადება. მიუხედავად ორი მიმართულებისა, საქართველოსთან დაკავშირებით ერთი მიდგომა ყალიბდება. სარკოზის განცხადება, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების უფლება აქვს, ე.ი. რაღაც კონტური იკვეთება. ისინი განცხადებას გააკეთებენ, თუ რამდენად მომწიფდა საქართველო დემოკრატიის თვალსაზრისით, რომ გახდეს ამ ალიანსის წევრი. ამ სიტუაციაში ნებისმიერი არეულობა საქართველოში მტრის წისქვილზე დაასხამს წყალს.

***— მაინტერესებს, ხმას რატომ არავინ იღებს?***

— ზუსტად ამიტომ ეუბნებიან აშშ-ს, რომ ისეთი მოკავშირის მიტოვება რეგიონში, როგორიც საქართველოა, არ შეიძლება. უდიდესი გეოპოლიტიკური სივრცის ყელია კავკასია და, კერძოდ, საქართველო. ამიტომ, თუ ამერიკას რაღაც ინტერესები აქვს (და აქვს ინტერესები), მაშინ ამერიკის ადმინისტრაცია რუსეთს ლოიალურად არ უნდა მოექცეს. რაც შეეხება რუსეთის მიერ ცხინვალის მხრიდან საზღვრის გადმოწევას, თუ ასე გაგრძელდა, თუ ასე დაუცველები ვიქნებით, არ გამოვრიცხავ, ერთი სოფელი კი არა, რუსეთის ჯარი თბილისთან მოვიდეს.

თამარ ნინიძე

# დასავლეთი სააკაშვილს აფრთხილებს

## პოპულისტური საარჩევნო დაპირებები და სრული სვლა უფსკრულისკენ

როგორც ჩანს, სააკაშვილის რამდენიმე დღის წინ გამოცხადებული ახალი ინიციატივები პირდაპირი გამოწვევაა ივანიშვილისადმი. სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ თუ აქამდე სოციალური პროექტების დაფინანსებას ივანიშვილის საშუალებით ახერხებდა, ახლა თავადაც შეძლებს. Aარადა, სულ ერთი თვის წინ მიხეილს 45-დან 60 წლამდე ასაკის ადამიანები არ ახსენდებოდა. ცინიზმია, სხვას ვერაფერს დაარქმევ ამ გადაწყვეტილებას, მეწარმე 45-დან 60 წლამდე ადამიანებს თუ დაასაქმებს, საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლდება. ვარდების რევოლუციიდან ცოტა ხანში სააკაშვილის ბრძანებით სწორედ ამ ასაკის ადამიანების მიმართ განხორციელდა დისკრიმინაცია, აქაოდა ახალგაზრდებს უნდა დაუთმოთ გზა და დანარჩენები სახლში წადით, ჩარეცხილები ხართო. რას არ იზამ არჩევნების წინ? Yყურებზე გავლა რომ დაგჭირდეს, ამაზეც წახვალ. ალბათ, გახსოვთ 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ დასავლეთის ზეწოლით რომ მიხეილმა საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა, სწორედ წინასაარჩევნო კამპანიის დროს გახდა ისეთი გულჩვილი, კეთილი და თავაზიანი, ისე უხვად არიგებდა მოწყალებას, მის შემხედვარეს გული აგიჩუყდებოდა.

მიხეილი არ შეცვლილა, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე შუა ხნის ასაკის ადამიანებზე გულმხურვალე მზრუნველად ევლინება საზოგადოებას, არა, მთლად ვერ დავუკარგავთ დამსახურებას, იულონ გაგოშიძე ხომ ცოტა ხნით მაინც დანიშნა დიასპორასთან ურთიერთობის მინისტრად. მაგრამ ახლანდელი სპონტანური გადაწყვეტილებით, ეკონომიკური ექსპერტის, გია ხუხაშვილის სიტყვებს თუ დავესესხებით, ახლა უკვე ახალგაზრდების დისკრიმინაციას გამოიწვევს. გაუგონარი და სრულიად გაუთვლელი გადაწყვეტილება ეკონომიკურად რა მოგებას მოუტანს მეწარმეებს, ამაზე ყურადღება არ გაუმახვილებია.

**ვინ წარმოიდგენდა, რომ ერთი კაცის პოლიტიკაში მოსვლა საქართველოს მთავრობაში რყევებს გამოიწვევდა. აქამდე ხომ მიხეილ სააკაშვილის ოპონენტები ჯიბეგაფხეკილი პოლიტიკური პარტიები იყვნენ. ახლა პოლიტიკურ სცენაზე გამოდის მილიარდერი, რომელმაც კოლოსალური თანხები გაიღო სწორედ ვარდოსნების ხელისუფლების პოზიციების გასამყარებლად.**



გასულ კვირას პარლამენტში სამთავრობო საათზე დაბარებულმა ახალდანიშნულმა ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ განაცხადა, რომ პენსიების ასი ლარით გაზრდის საკითხი დღის წესრიგში ისევ დგას, მაგრამ სავალუტო ფონდთან ამ რეფორმის პარამეტრები შესათანხმებელია იმიტომ, რომ მისი თქმით, უამრავმა ქვეყანამ მსგავსი გადაწყვეტილება პოლიტიკური გეგმების გამო მიიღო და მერე დეფოლტი განიცადა.

საინტერესოა, რომ ამ მთავრობის ხელში გასაცოდავებული სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისთვის 2012 წლის ბიუჯეტში თანხა 10 მილიონი ლარით არის შემცირებული. Eესეც შენი 2012 წელი, რომელიც სოფლის მეურნეობის წლად მიხეილმა გამოაცხადა. გვინდაძე, ეტყობა, იდეალური შემსრულებელია, თორემ კითხვა მაინც გაუჩნდებოდა, კი მაგრამ თანხას ვამცირებთ, და მომავალ წელს სოფლის მეურნეობის წლად მაინც რალაზე გაცხადებთო, მაგრამ ამის ნაცვლად სრულიად უდრტვინველად გვაუწყებს – სოფლის მეურნეობის დარგი მართალია პრიორიტეტულია, და მისთვის 270 მილიონი დოლარია გამოყოფილი, თუმცა ეს დონორების თანხაა, აშშ-სა და ევროკავშირის და საქართველოს ხელისუფლებისგან ამ დარგისთვის მეტ დახმარებას ნუ ელოდებითო.

აქაც, როგორც ჩანს, მიხეილი ჰიბრიდული სიმინდის მოუსავლიანობის გამოა გაბრაზებული, ხშირად ბრაზობს, მაშინაც გაბრაზდა, როცა თბილისის ამომრჩეველმა საპრეზიდენტო არჩევნებში ხმა მას კი არა, ლევან გაჩეჩილაძეს, მისცა, ამის მერე მოიძულა თბილისელები და ახლა დედაქალაქის გადატანის მცდელობა ხან ქუთაისში, აქვს, ხან ბათუმში, ხან მცხეთაში და ხანაც სიღნაღში. ახლა კი საბრალო სოფლის მეურნეობა!

სწორად შენიშნა ერთ-ერთმა ექსპერტმა, ხელისუფლება ყურძნის უხვმა მოსავალმა შეაწუხაო. ამ უავდრობის დროს რომ მაინც დიდი მოსავალი მოვიდა, ყველა ნორმალური ხელისუფლება გახარებული იქნებოდა, მაგრამ არა მიხეილის მთავრობა. გლეხები ჩივიან, რომ მეღვინეები ყურძენს ვერ იბარებენ, ყურძენი გლეხებს ულპებათ. სამაგიეროდ, ,,მანიაკი" ონიშჩენკო არ უნდა გავახაროთ. მიხეილი კონიაკ ,,სარაჯიშვილს" აღარ დალევს. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ,,სარაჯიშვილის" მწარმოებლები რუსულ ბაზარზე გასასვლელად მოლაპარაკებებს ,,მანიაკ" ონიშჩენკოსთან მართავენ. ჰიბრიდულ სიმინდზე გამახსენდა, პარლამეტში ქრისტიან-დემოკრატი ახვლედიანი უმრავლესობას ცხვირწინ რომ უფრიალებდა სიმინდის გამხმარ და დაჩიავებულ ტაროებს, უმრავლესობა აცხადებდა, მხოლოდ მცირე ნაწილი ჩავარდა, სხვაგან უხვი მოსავალი მოვიდაო, გავიდა არც ისე დიდი დრო და მიხეილმა ჰიბრიდული სიმინდის აფიორის გამო გლეხებს კომპენსაციის გადახდას დაპჰირდა. რას გადააყოლეს ბაკურ კვეზერელი, მაინც გაუგებარი დარჩა – ჰიბრიდულ სიმინდს, ყურძნის დაუბინაობას თუ მამალ ძროხებს?

ქამრების შემოჭერის ყბადაღებული იდეა წარსულს ჩაბარდა, მომავალი წლის ბიუჯეტში სახელმწიფო მოხელეებს ხელფასებს უმატებენ, მარტო საშუალო და წვრილ მოხელეებზე რომ იყოს საუბარი, კიდევ არაფერი, მაგრამ ამათი მადის ამბავი რომ ვიცით, საკუთარ თავებსაც გაუზრდიან ხელფასებს. აბა, ხომ უნდა შეძლონ 80-თეთრიანი სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა. გაზრდილი გადასახადები, მგზავრობის ფასის არაადეკვატური გაზრდა, როცა მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასმა იკლო, გარემოვაჭრეების დევნა, დევნილებისთვის უხარისხო სახლების მშენებლობა, გაუაზრებელ და ბრიყვულ ქმედებებს საზღვარი არა აქვს.

ყოველივე ამის ფონზე მიხეილი დროს პოულობს და ივანიშვილის წინაალმდეგ ახალ და ახალ პროპვოკაციებს გეგმავს. საკრებულოში ივანიშვილის თანამოაზრეები ,,თავისუფალი დემოკრატების" წევრები ვიქტორ დოლიძე და ზურაბ აბაშიძე თანამდებობებიდან მოხსნეს და მოტივი არ გაინტერესებთ? თურმე თანამდებობებს პოპულისტური აქციებისთვის იყენებენ, ელექტროენერგიას ნაგვის გადასახადი მტავრობამ რომ მიაბა, დოლიძემ და აბაშიძემ პროტესტის ნიშნად მერიის წინ ნაგვის ნარჩენებიანი პარკები მიიტანეს. საინტერესოა, ხელისუფლებას ლეიბორისტები რატომ არ გაახსენდა, პარლამენტის დეპუტატები არიან, ხელფასებს ბიუჯეტი უხდით, პოპულისტური აქციების გამართვაში კი ჩემპიონები არიან.

ამიტომ არის აწრიალებული ევროპა და ამერიკა, ჯერ სარკოზიმ ურჩია რუსეთთან ურთიერთობები დაალაგეო და განრისხებულმა მიხეილმა საფრანგეთის პრეზიდენტი აეროპორტში აღარ გააცილა, მერე ჰილარი კლინტონის მოადგილე ჩამოვიდა და ურჩია ,,ნებითა შენითა" გადააბარე დემოკრატიულად ხელისუფლებაო. აფრთხილებენ, რომ ,,კადაფიზაციას" გადაურჩეს, თორემ ,,ბრეჟნევიზაციის" დიდი წუმპეში ხელისუფლება უკვე კარგა ხანია არის. მთავრობა სრული სვლით უფსკრულისკენ მიექანება, მთავარია ხალხიც არ გადაიყოლოს.

# პრეზენტაცია

ONE Touch ot 818 – ეს ფრანგული მობილური ტელეფონების მწარმოებელი კომპანია „ალკატელის'' ახალი ტელეფონია, რომელიც პირველად საქართველოში გაიყიდება და მისი შეძენის საშუალება მხოლოდ „ბილაინის'' აბონენტებს ექნებათ. ამის შესახებ განცხადება „ალკატელის'' გაყიდვების დირექტორმა ალექსანდრე არშინოვმა და „ბილაინის'' გენერალურმა დირექტორმა ანდრეი პიატახინმა თბილისში გამართულ ახალი ტელეფონის მსოფლიო პრემიერაზე განაცხადეს.

ახალი ტელეფონის მსოფლიო პრემიერა თბი-







ლისში, 28 ოქტომბერს სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში'' გაიმართა. პრემიერას ესწრებოდნენ ადგილობრივი და საერთაშორისო მედიის, ბიზნესწრეების წარმომადგენლები და ასევე თბილისის მთავრობის წევრები. რაც შეეხება ახალ ტელეფონს, ის ბაზარზე გასაყიდად რამდენინე კვირაში გამოვა და როგორც ანდრეი პიატახინი აცხადებს, „ფასით ყველა განცვიფრებული დარჩება''.

ახალი ტელეფონის პრემიერა პომპეზურ გარემოში გაიმართა. ალექსანდრე არშინოვმა და ანდრეი პიატახინმა პრემიერასთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე „ალკატელის'' 10 ახალი მობილური ტელეფონიც გაათამაშეს.

„დღეს შედგა „ალკატელის'' ახალი ტელეფონის პრემიერა, რაც იმას გულისხმობს, რომ მისი ყიდვა პირველად საქართველოში იქნება შესაძლებელი. გამომდინარე იქიდან, რომ „ალკატელი'' და „ბილაინი'' უკვე დიდი ხანია პარტნიორები არიან, ჩვენ ჩვენს წვლილსაც ვგრძნობთ იმაში, რომ კომპანიამ პრემიერის გასამართად თბილისი აირჩია. ეს ჩვენთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა იყო. მიგვაჩნია, რომ ექსპერიმენტმა ნამდვილად გაამართლა. ვიმედოვნებთ, რომ „ალკატელს'' სხვა ბრენდებიც მიბაძავენ და მსოფლიო პრემიერა თბილისში ხშირად გაიმართება'', - განაცხადა „ბილაინის'' საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თეონა ბაღდავაძემ.

„ბილაინის'' გენერალური დირექტორის ანდრეი პიატახინის თქმით კი, მსოფლიო პრემიერის თბილისში გამართვა „ალკატელთან'' დამყარებული ექსკლუზიური თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი შედეგია.

„ერთ წელზე მეტია, რაც „ბილაინი'' საკუთარ მომხმარებელს „ალკატელის'' ტელეფონებს სთავაზობს. ამ ტელეფონების პოპულარობამ და მათმა ხარისხმა დაგვანახა, რომ საჭიროა კომპანიასთან ექსკლუზიური თანამშრომლობა. ასეთი თანამშრომლობა შედგა, რისი შედეგიცაა ის, რომ დღეს ახალი ტელეფონის მსოფლიო პრემიერა სწორედ თბილისში ჩატარდა. ეს ჩვენთვის საკმაოდ საამაყო ფაქტია.

„რაც შეეხება ახალ ტელეფონს, ის გაყიდვაში ჯერ არ არის. ჩვენს ქსელში ის რამდენიმე კვირაში გამოჩნდება და დამერწმუნეთ, რომ ფასით ყველა განცვიფრებული დარჩება'', - განაცხადა პიატახინმა.

„ალკატელის'' გაყიდვების დირექტორის ალექსანდრე არშინოვის თქმით კი, კომპანიამ მსოფლიო პრემიერის თბილისში ჩატარება ქართული ბაზრის მიმზიდველობის შედეგად გადაწყვიტა.

„ჩვენ დიდი ხანია, რაც საქართველოს ბაზარს ვაკვირდებით და დავრწმუნდით, რომ ის ჩვენთვის განსაკუთრებით მიმზიდველია როგორც გაყიდევების კუთხით, ასევე ქვეყანაში არსებული ინფრასტრუქტურული საშუალებებით. ამის გამო გადავწყვიტეთ, რომ მსოფლიო პრემიერა არა სხვა დიდ ქალაქებში, არამედ თბილისში ჩაგვეტარებინა. დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენი ეს ინიციატივა იქნება მაგალითი სხვა კომპანიებისთვის, რომ მსგავსი ტიპის ღონისძიებები





მათაც ჩაატარონ'', - აღნიშნა ალექსანდრე არშინოვმა.

ამასთან, პრემიერაზე გაირკვა, რომ „ალკატელის'' ახალი ტელეფონების გაყიდვიდან შემოსული თანხის ნაწილი ქველმოქმედებას მოხმარდება, რომელსაც „ბილაინი'' „ნათელი ფერები ბავშვებს'' კამპანიის ფარგლებში ახორციელებს. უახლესი მობილური ტელეფონიდან პირველი ზარი კი კოჯრის ბავშვთა სახლის დასახმარებლად თბილისის ვიცე-მერმა მამუკა ახვლედიანმა განახორციელა.

„ყოველდღიურად ვრწმუნდებით, რომ ჩვენი ქალაქი უფრო აქტიური ხდება. მსოფლიოს ისეთი ბრენდი, როგორიც „ალკატელია'', ქართულ ბაზარზე უკვე თავის ადგილს იმკვიდრებს, თანაც ეს ხდება მსოფლიო პრემიერის ფონზე და შემოსული თანხა ქველმოქმედებას ხმარდება. ქველმოქმედება მართალაც კეთილი საქმეა, თუმცა მეორე და მნიშვნელოვანი ისაა, რომ ასეთი ბრენდების წარმოჩენით ჩვენი ქვეყანა მსოფლიო ცივილიზაციის, მსოფლიოში ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი ქვაკუთხედი და ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი ხდება. თბილისის მერიის სახელით მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ამ პრემიერის ორგანიზატორებს'', - დასძინა ახვლედიანმა.

# ნანა ცინცაძე შეშლილ დღესასწაულს აწყობს

ეკა ირემაშვილი



**არაერთი პოპულარული ქართული სიმღერის ტექსტის ავტორი და პოეტი ნანა ცინცაძე პირველ ნოემბერს რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში თავის ერთგულ მკითხველს შეკრებს და შემოქმედებით საღამოს აზიარებს. „შეშლილი დღესასწაული" — ასეთია ღონისძიების სახელწოდება, რომელშიც ქართული ესტრადის ვარსკვლავები, პანტომიმის თეატრის მსახიობები, სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი „თელა" და ქორეოგრაფიული ანსამბლი მიიღებენ მონაწილეობას. რუსთაველის თეატრში მისულებს კი ლამაზ მუსიკალურ საღამოსთან ერთად ნანა ცინცაძის ახალი წიგნის „მეპატიოს" პრეზენტაცია ელოდებათ, რომელსაც მუსიკალური დისკი ერთვის. ღონისძიების რეჟისურა რუსთაველის თეატრის მმართველ ზაალ ჩიქობავას ეკუთვნის.**

შემოქმედებითი საღამოს ჩატარების იდეა პოეტს სწორედ ამ წიგნზე მუშაობისას გაუჩნდა. მისი ინიციატივა კოლეგა ექიმებმა თუ ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლებმა მოიწონეს და პირველ ნოემბერს ქართველი საზოგადოება ამ ყველაფრის მონაწილე თავად გახდება.

ორსაათიან ღონისძიებაზე აჟღერდება მსმენელისთვის განსაკუთრებულად საყვარელი სიმღერები, რომლებსაც კიდევ ერთხელ იმღერებენ ნოდიკო ტატიშვილი, მერაბ სეფაშვილი, ეკა კვალიაშვილი, სოფო ბედია, ლაშა ღლონტი, თამრიკო ჭოხონელიძე, ზურა დოიჯაშვილი, „ქართული ხმები", თათია გიორგობიანი, დათო გომართელი, დათო არჩვაძე, ხათუნა გვენეტაძე, თეატრალური კვარტეტი, ანი სირაძე, „ქართული ხმებისა" და „მოძახილის" ახალი თაობა, დუეტი „ჯორჯია", სოფო პაპუაშვილი, ნათია ქოროღლიშვილი, მერაბ ვარდოსანიძე, „ალილო" ნინი შერმადინი, გიო ხუციშვილი, მიშა ზაქარიაშვილი, დათუნა სირბილაძე, ივა ჭყონია, ქეთი გაბისიანი, გია დავითიანი და აჩიკო ნიჟარაძე. რომანსებს კი მსმენელისთვის ლილიკო ნემსაძე დაუკრავს.

ნანა ცინცაძე პროფესიით ექიმია, ამიტომაც მისთვის გამორჩეულად საყვარელი სწორედ ქართველი ექიმები არიან. შემთხვევითი არ არის, რომ პირველი წიგნი მედიცინაზე დაწერა, ხოლო პირველი სიმღერა, რომლისთვისაც ქალბატონმა ნანამ ლექსი შექმნა, ია ჩანტლაძის ჰიტი „არ მიყვარხარ" იყო. საკუთარი ლექსები კი პირველად კრებულში „დაუმშრალი მთვარე" გააერთიანა.

**ნანა ცინცაძე, პოეტი:**

— პირველ ნოემბერს რუსთაველის თეატრში ჩემი შემოქმედებითი საღამოა. ეს იქნება ლექსი, პოეზია და მუსიკა ერთად. ამ საღამოს არ ჰყავს წამყვანი. მასში არ იქნება მხოლოდ სიმღერები. ეს არის დადგმული საღამო პოეზიას პლუს სიმღერა, რომელშიც მონაწილეობენ მომღერლების გარდა ანსამბლი „თელა", ქორეოგრაფიული ანსამბლი ნონა ჯანდაგაშვილის ხელმძღვანელობით და პანტომიმის სახელმწიფო თეატრი. ამ საღამოს რეჟისორია რუსთაველის თეატრის დირექტორი ზაალ ჩიბოქავა.

***— საღამოს სცენარი ვის ეკუთვნის?***

— სცენარი მე და მარინა ცხაკაიამ ერთობლივად გავაკეთეთ. საღამო დაიწყება ლექსით „განაჩენი", რაც იმის მანიშნებელია, რომ მე ამ საღამოთი ჩემს განაჩენს ველოდები. ამ ღონისძიებით მინდა გამოვხატო მადლიერება კომპოზიტორების, მომღერლებისა და ჟურნალისტების მიმართ, რომლებიც მხარში აქტიურად მიდგანან.

***— მონაწილეები როგორ შეარჩიეთ?***

— ამ საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ისინი, ვინც ყველაზე მეტად მიყვარს. ყველა, ვინც მონაწილეობს, არის საოცრად გახარებული და ბედნიერი ამით. მეც ბედნიერი ვარ, თუმცა შედეგს ვერ გეტყვით. ჩვენ გვინდა მაქსიმუმი გავიღოთ იმ ადამიანებისთვის, ვინც გვიყვარს და ვისაც ვუყვარვართ. როგორი იქნება, ეს უკვე აღარ ვიცი. არ ვეკუთვნი იმ ადამიანების კატეგორიას, ვინც წინასწარ ამბობს, რომ მისი საღამო იქნება გენიალური, გრანდიოზული, დაუვიწყარი, მასშტაბური, ისეთ სიტყვებს ამბობენ, რომ არ მოგაგონდება. როგორი იქნება ჩემი საღამო, ვილაპარაკოთ მისი ჩატარების შემდეგ.

***— განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გაქვთ?***

— რა თქმა უნდა. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მაქვს ჩემი კოლეგების — ექიმების მიმართ. ასევე განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მაქვს პოეზიის მიმართ. მე, სიმღერაშიც გამოვდივარ ლექსიდან და არა ტექსტიდან, ეს ყველასთვის ცნობილია. არ შემიძლია გავაკეთო სიტყვების რახარუხი, რომელიც ჩაჯდება ტექსტუალურად, მაგრამ იქნება აბსოლუტურად გაუმართავი გრამატიკულად და რომ გამოაცალკევოთ ტექსტი სიმღერიდან, ვერავინ გაიგებს, რა უნდოდა ავტორს ეთქვა, თუმცა სიმღერაში მშვენივრად ჯდება, თან სიტყვებიც არის ისეთი, რომელიც ქართულ ენას უხდება. ეს ყველაფერი ჩემთვის აბსოლუტურად არაფერია.

***— რატომ?***

— იმ ტრადიციებზე, რომელზეც ჩვენ გავიზარდეთ, ჩვენ კი არაჩვეულებრივი კულტურის ქვეყანა ვართ, საქართველო არის უნიკალური ხალხური სიმღერის, ცეკვის და ლექსის ქვეყანა. ამ ხალხურ შემოქმედებას შესანიშნავი გამგრძელებლები ჰყავდა XX საუკუნეში ბატონების პეტრე გრუზინსკის, მორის ფოცხიშვილისა და ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, ჯანსულ ჩარკვიანის სახით. მათ შექმნეს სასიმღერო პოეზია და არა ტექსტოლოგია. ეს ორი აბსოლუტურად განსხვავებული მცნებაა. ტექსტზე შექმნილი არც ერთი სიმღერა არ დარჩება, მხოლოდ პოეზიაში დევს მუსიკალობა.

***— პირველი ნოემბერი თქვენთვის რაიმეთი მნიშვნელოვანია?***

— აბსოლუტურად არაფრით გამორჩეული დღე არ არის. ეს იყო შემოდგომის ერთი ჩვეულებრივი დღე. ჩვენ თეატრის გრაფიკსაც გავუწიეთ ანგარიში და თანხვედრით ჩემი საღამო დაემთხვა პირველ ნოემბერს.

***— რატომ მოგინდათ შემოქმედებითი საღამოს ჩატარება, დაგიგროვდათ სათქმელი?***

— დავიწყოთ იქიდან, რომ არასოდეს არავინ შემიწუხებია და არასოდეს არავისთვის დამიწყია მტკიცება, რა ვარ, ვინ ვარ და რას ვაკეთებ. გადავწყვიტე გამეკეთებინა ჩემს ცხოვრებაში, პოეზიაში შემაჯამებელი წიგნი, რომელსაც „მეპატიოს" დავარქვი, ეს კი ბიბლიური სიტყვებია.

***— რა გაქვთ საპატიებელი?***

— არავინ არ თქვას, რომ საპატიებელი არაფერი აქვს და ვაი, იმას, ვინც დადის ძალიან ამაყად და ჰგონია, რომ შეცდომას არ უშვებს და ყველაზე მართალია. ჩემს თავს ხშირად ვიჭერ, როდესაც შემიძლია ვთქვა სიტყვები, მეპატიოს. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი წიგნია, თუნდაც იმიტომ, რომ პატივს ვცემ იმ ადამიანებს, ვისი წერილებიც არის თავმოყრილი ამ წიგნში. სულ 47 წერილია. ყველას ვთხოვე, რომ ტრაფარეტულად ნუ დამიწერდნენ ამ წერილებს.

***— ვინ არიან ამ წერილების ავტორები?***

— ესენი არიან ლიტერატურათმცოდნეები, ექიმები, მხატვრები, ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც ყველასთვის კარგად არიან ცნობილი. ასეთი წერილების დროს არის ტენდენცია, რომ მაღალმხატვრული სიტყვების კრებულია. ამ წერილებში კი ვითხოვე, დაეწერათ ჩემზე ის, როგორსაც მხედავდნენ. ადამიანი ვერ ვნახე, ვისაც ცრემლების გარეშე წაეკითხოს ეს წერილები. ჩემთვის მათ დიდი ფასი აქვთ. ყველამ ის აზრი გამოხატა, რასაც ფიქრობენ. ესენი კი სრულიად სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან. საკმაოდ გულწრფელი ადამიანები არიან. ექიმები ჩემთვის ყოველთვის პრიორიტეტულად რჩებიან, იმიტომ, რომ მთელი ჩემი ოჯახი და სამეგობრო ძირითადად ექიმებისგან და იურისტებისგან შედგებოდა. მე კი უფალმა ჩემი პოეზიიდან გამომდინარე, დამაკავშირა ე.წ. შოუბიზნესს. ჩემი წრე უფრო მეტად მაინც ექიმებისგან შედგება, მაგრამ არა იმიტომ, რომ ვინმე ვინმეს სჯობია. უბრალოდ, მათ უფრო ზუსტად იციან, რა არის მეგობრობა.

***— ამას შოუბიზნესში ვერ გრძნობთ?***

— მადლობა მინდა შოუბიზნესს ვუთხრა სიყვარულისთვის. მე დავინახე, რომ შოუბიზნესს შეუძლია მეგობრობა, თანადგომა და დაფასება. განსაკუთრებული მადლობა მინდა გამოვხატო თითოეული მათგანის მიმართ, რომელიც ამ წუთში ჩემს გვერდით დგანან.

***— ბევრნი არიან?***

— საკმაოდ, მთელი არმიაა. ამ წიგნს ახლავს დისკი სიმღერებით, რომლებსაც ჩვენი მომღერლები ასრულებენ. მე მივედი მათთან, მე დავწერე წერილები, მე ვთხოვე, რომ ამ საღამოში მიეღოთ მონაწილეობა, თორემ მართლა არავინ მოსულა, არავის დაუხევია კაბის კალთები და არავის ურტყია თავი კედელზე, შენი ჭირიმე, ნანა, ჩვენ მზად ვართ, შენი შემოქმედებითი საღამო გაკეთდესო. პირიქით, ყველაფერი მე გავაკეთე. ორმა ადამიანმა მომცა საოცარი ძალა. როცა პირველად მივედი, მერიის მხრივ პრობლემები შეიქმნა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა საკითხი, შედგებოდა თუ არა ჩემი საღამო. მივედი ადამიანთან, რომელიც ჩემი უახლოესი მეგობარია და მას ასაკი არ აქვს, ეს არის გელა მუხაშავრია. ის უყვარს სრულიად საქართველოს და პირადად ჩემთვის არის კაცობის მაგალითი. როცა ეს ამბავი გაიგო, აღარ მიხვიდეო, მითხრა, ნუთუ ისე დავიხოცეთ ექიმები, რომ ჩვენთვის საამაყო ნანას არ მოგეფეროთო. ეს იყო ისეთი ძალა, რომელიც ადამიანს მთებს გადაადგმევინებდა. მეორე ადამიანი კი იყო ივა ჭყონია. ჩემთვის აბსოლუტურად არ აქვს მნიშვნელობა არავის პარტიულობას, არავის თანამდებობას. ეს არის პიროვნება, რომელსაც როცა ვუყურებდი, ვგრძნობდი, რომ ჩემზე მეტად განიცდიდა ყველაფერს. როცა რამე სიახლე მინდოდა მეთქვა და მეგონა, რომ დავასწარი, პირიქით, ის მიყვებოდა. თუკი გელა ჩემზე ასაკით უფროსია, ივა ჩემი შვილის ტოლია. უკვე სამ თაობაზე ვლაპარაკობ, სადაც ასაკობრივი ბარიერი არანაირ დაბრკოლებას არ წარმოადგენს, როცა საქმე ეხება პიროვნებას. როცა მერიამ გადაწყვიტა

**გაგრძელება მე-11 გვერდზე**


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**

**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი**
**ბ/კ: 220 101 465**
**ანგ. N 36 010 892 GEL;**
**136 180 892 USD;**
**236 180 892 EUR**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## SMS-განცხადებები - 3090

- იყიდება 31-10 კარგ მდგომარეობაში, 2000 ლიტრიანი, ფასი შეთანხმებით, აქვს 150000 გარბენი. ტელ.: 551-57-36-85.
- იყიდება ნაკვეთი ურეკის ცენტრში, 463კვ.მ. ფასი: 1კვ.მ. - $60. ტელ.: 551-57-44-67.
- იყიდება კასპის რაიონ სოფელ ხოვლეში 2-სართულიანი საცხოვრებელი სახლი, 1000 კვ.მ. ფართით, ყველანაირი ხეხილიანი ბაღით, აგრეთვე 900 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ფასი $10000. ტელ.: 599-27-17-95.
- ვყიდი მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრ კარკასს, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, თბილისიდან 20 კმ-ში. შესაძლებელია განვადება. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.
- იყიდება ავერლოკი ტოიოტა, უხმარი, ოთხძაფიანი, ფასი: 539 ლარი. საკერავი მანქანა, გერმანული, უხმარი, 21 ოპერაცია, ფასი: 419 ლარი. ტელ: 790-75-45-78. 571-75-45-77. 557-59-97-54. ზურა.
- ვიყიდი თბილისში ბინას ან სახლს. 14.000 დოლარის ფარგლებში. მივცემ მიწის ნაკვეთს სახლის პროექტით. დარჩენილ 7.000 გადავიხდი 1-წლიანი განვადებით. ბორჯომი, ახალდაბა. ტელ.: 8790-56-48-75.

## განცხადებები

- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.
- სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ძვლებში მეტასტაზების მკურნალობა სწრაფად და შედეგიანად. სისხლის დაცვა და აღდგენა ქიმიო და რადიოთერაპიისას. ტელ: 295-23-98.

# სოხუმი ცხრილის თავშია, უდანაკარგო კი სამია

### არმია – ქუთაისი 89:49

(21: 14, 22: 15; 22: 6, 24: 14)

**არმია:** რიჩარდსონი (14ქ,11მ), ბაბიაშვილი (4), ბოისა (7ქ,7მ), ვ.მინაშვილი (4ქ), კვიმსაძე (2ქ), ტომასი (11ქ,7მ), მოსეშვილი, ათანელიშვილი (2ქ), შელბომი (7ქ,6მ), დიაზი (16ქ), საყვარელიძე (4ქ), გეინსი (18ქ,5პ)

**ქუთაისი:** ფაშაევი (5ქ), ბაბუნაშვილი (13ქ), დიდია (3ქ), ცეკვავა (12ქ), მესხი, ცირეკიძე, დ.ბარბაქაძე (5ქ), ლომინაშვილი, გ.ბარბაქაძე (6.), კუჭავა, ქორიძე (3ქ), მათიაშვილი (2ქ,11მ)

მატჩი დიდ ინტერესს იწვავდა, თუმცა არმიელებმა დუდუ დადიანის მემორიალის გამარჯვებულები 40 ქულის სხვაობით, 89:49 დაამარცხეს და კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ევროჩელენჯის ტურნირისთვის გაძლიერდნენ. ქუთაისლებმა წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწიეს მეტოქეს, თუმცა, ამ დროსაც იგრძნობოდა, რომ როგორც კი არმიელები ტემპს მოუმატებდნენ, მატჩის ბედი იქვე გადაწყდებოდა. და ასეც მოხდა.

არმიელებმა პირველი მეოთხედი 7 ქულით მოიგეს, მაგრამ იყო მომენტები, როდესაც „ქუთაისი" კუდზე აჰყვა მეტოქეს. მეორე მეოთხედის დასრულებამდე 2 წუთით ადრე სხვაობა მხოლოდ 2 ქულა იყო და თითქოს გუნდებიც შესვენებაზე დაძაბული მეორე ტაიმის მოლოდინში უნდა გასულიყვნენ, მაგრამ რიონისპირელებმა რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვეს, რითიც კარგად ისარგებლეს არმიელებმა და ერთწუთიანი მონაკვეთი 10:0 მოიგეს. სწორედ აქ გატყდნენ სტუმრები და დარჩენილი დრო მხოლოდ ფორმალობად იქცა.

„არმიამ" ყველა მეოთხედში აჯობა მეტოქეს, მესამე პერიოდის დასასრულს კი 30-ქულიან უპირატესობას მიაღწია – 65:35. ეს უპირატესობა კოტე ტუღუშის შეგირდებმა დასკვნით ათწუთეულში კიდევ უფრო გაზარდეს და მორიგი გამარჯვება მიითვალეს.

„ძალოვანთა" რიგებში ამერიკელი ლეგიონერი სანდიეტა გეინსი გამოირჩა, რომელმაც 18 ქულა მიითვალა, ხოლო 14 ქულითა და 11 მოხსნით ორმაგი დუბლი ჯერემი რიჩარდსონმა შეასრულა.

რაც შეეხება „ქუთაისს", მის შემადგენლობაში ყველაზე მეტი, 13 ქულა თეიმურაზ ბაბუნაშვილის ანგარიშზეა.

### შსს – ოლიმპი 72:80

(11: 22, 29: 13, 15: 19, 12: 20)

**შსს:** მაკქემონი (7ქ,7მ), ლაფანაშვილი (2ქ), ლონდარიძე (1ქ,6მ), ლომოური, თენიეშვილი, ტუჯანი (2ქ), წივწივაძე (7ქ), იმნაძე (2ქ), დვალიშვილი (16ქ,6მ), კრეპსი (34ქ,10მ), ბოქოლიშვილი

**ოლიმპი:** გამყრელიძე (22ქ,7მ,14პ), გულისაბედაშვილი (6ქ), დ.მინაშვილი, ნანიტაშვილი, თავართქილაძე, სიგუა, მილუტინოვიჩი (24ქ,16მ), მ.ბერიშვილი (9ქ,8მ), სლიუკა (14ქ), მუმლაძე, სულაბერიძე (5ქ)

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და „ოლიმპს" შორის მატჩში დებიუტანტმა 80:72 იმარჯვა. როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი ძალიან საინტერესო და დაძაბული აღმოჩნდა.

მთელი თამაში გუნდების გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, ხოლო მოგებულთა ვინაობა შეხვედრის ბოლომდე არ გარკვეულა.

მატჩის პირველი ნახევარი „ძალოვნების" სასარგებლოდ – 45:41 დასრულდა. ხოლო მესამე მეოთხედიდან შეხვედრა კიდევ უფრო დაიძაბა. საინტერესო კი განსაკუთრებით ბოლო დასკვნითი მეოთხედი გამოდგა, სადაც გამარჯვებული გუნდი უნდა გამოვლენილიყო. ამ პერიოდში გუნდებს შორის თანაბარი ანგარიში რამდენჯერმე დაფიქსირდა და მატჩის ბედი თამაშის დასრულებამდე მხოლოდ 2.03 წუთით ადრე გაირკვა, როდესაც „ოლიმპმა" 6-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა – 78:72), შსს-მ კი დარჩენილ დროში ველარ მოახერხა მეტოქეს დაწეოდა.

„ოლიმპმა" საბოლოოდ 80:72 დაამარცხა მეტოქე და ამ სეზონში ზედიზედ მეორე გამარჯვება გაიფორმა.



შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგებში საუკეთესო გახლდათ ამერიკელი ლეგიონერი რობერტ კრეპსი, რომელმაც 34 ქულა მოაგროვა. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი, ჯერჯერობით, სეზონის რეკორდია. კრეპსიმ საკუთარ ანგარიშზე 10 მოხსნაც მიითვალა და ორმაგი დუბლი შეასრულა.

რაც შეეხება გამარჯვებულ გუნდს, მის რიგებში გამოირჩა სერბი ლეგიონერი ილია მილუტინოვიჩი, რომელმაც 24 ქულითა და 16 ქულით ორმაგი დუბლი მიითვალა და საკუთარი გუნდის გამარჯვებაში საკმაო წვლილი დაიდო.

ორმაგი დუბლი შეასრულა აგრეთვე საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა გიორგი გამყრელიძემ, რომლის ანგარიშზეც 22 ქულა და 14 პასია.

### სტუ – რუსთავი 86:82(ოტ)

(11: 21, 22: 25, 18: 14, 24: 15, 11: 7)

**სტუ:** ტეტელაშვილი (3ქ,8მ), თევზაძე (4ქ,8მ), ჩაჩიბაია (8ქ,7მ), ჭოხონელიძე, მაჩალაძე (16ქ,16მ,4დ), ხანიაშვილი (22ქ), კობიძე (7ქ), ჯავახიშვილი, დეკანოიძე, კორძაძე, ვ.ბერუაშვილი (9ქ,9მ), ანთაძე (17ქ,13მ)

**რუსთავი:** მაჭავარიანი (9ქ), გ.ბერუაშვილი, არწივიძე (14ქ), თვარაძე (6ქ), ბააკაშვილი (ქ2), ჩაჩანიძე (22ქ,7ჩ), არაბული (2ქ), ხმელიძე (4ქ), კოპალიანი (17ქ,8მ), გუგავა (6ქ)

მატჩი ძალიან საინტერესოდ წარიმართა. ქვემოქართლელებმა შეხვედრა დამაჯერებლად დაიწყეს და პირველ პერიოდში ანგარიშით – 21:11 დაწინაურდნენ. რუსთავმა მეორე ათწუთეულიც აქტიურად ითამაშა და და შეხვედრის პირველი ნახევარი 46:33 მოიგო.

მესამე მეოთხედის დასრულებამდე 2 წუთით ადრე „სტუდენტები" გაქტიურდნენ და ანგარიშში სხვაობა 10 ქულამდე დავიდა – 46:56. მესამე ათწუთეულის დასრულებამდე 1:42 წამით ადრე ტექნიკოსებმა სხვაობა 7 ქულამდე შეამცირეს – 51:58 . საბოლოოდ კი დასკვნით მეოთხედს რუსთაველები 9-ქულიანი უპირატესობით შეხვდნენ – 60:51.

დასკვნითი პერიოდის დასაწყისში სტუ გააქტიურდა და სხვაობა 3 ქულამდე შეამცირა – 57:60. მეოთხედის შუაწელში კი ტექნიკოსებმა შეძლეს მეტოქის გასწრება და თამაშის მანძილზე პირველად გავიდნენ წინ – 61:60.

ამის შემდეგ სტუ-ს გუნდი სულ სხვაგვარად ათამაშდა და მეტოქესთვის ქულის გაკეთების საშუალება არ მიუცია. საინტერესოა, რომ „რუსთავმა" დასკვნით მეოთხედში ქულის ჩაგდება მხოლოდ თამაშის დასრულებამდე 3 წუთით ადრე მოახერხა. შეხვედრის ბოლო 1:14 წუთი კი ძალიან დაძაბული გამოდგა – სხვაობა 4 ქულას შეადგენდა (73:69) სტუ-ს სასარგებლოდ, 28,2 წამით ადრე კი ქულამდე შემცირდა – 74:73.

დარჩენილი დროში ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა მხოლოდ ერთი ჯარიმა გამოიყენა და 2 ქულით დაწინაურდა – 75:73 , თუმცა ამას რუსთაველთა 2 ქულა მოჰყვა და შეხვედრის ძირითადი დროის დასრულებამდე 4 წამით ადრე ანგარიში გათანაბრდა. შეტევის დრო ტექნიკოსებს ჰქონდათ, მაგრამ ბურთი დაკარგეს და რუსთაველებს რომ ეყოჩაღათ, იქნებ პირველი გამარჯვებისთვისთვისაც მიეღწიათ, თუმცა, ბოლო სროლა გააცუდეს.

დამატებითი დრო გუნდების გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ძალიან დრამატულ მატჩში საბოლოოდ სტუ-მ 4 ქულის სხვაობით დაამარცხა რუსთავის გუნდი, რომელიც მთელი თამაშის მანძილზე ახლოს იყო გამარჯვებასთან.

სტუდენტთა შემადგენლობაში საუკეთესო გახლდათ გიორგი ხანიაშვილი, რომელმაც 22 ქულა მოაგროვა, ხოლო ორმაგი დუბლი ერთბაშად ორმა კალათბურთელმა შეასრულა – ზვიად ანთაძის ანგარიშზე 17 ქულა და 13 მოხსნაა, ზურაბ მაჩალაძემ კი 16 ქულა და ამდენივე მოხსნა მიითვალა.

რუსთაველთა რიგებში რევაზ ჩაჩანიძე გამოირჩა, რომელმაც საკუთარ გუნდს 22 ქულა შესძინა.

### თსსუ – ბათუმი 85:67

(13: 19, 19: 15, 29: 9, 24: 24)

**თსსუ:** ტომარაძე (12ქ), ჩიკვილაძე (21ქ,8მ,5პ), კვეტენაძე (2ქ), ყველაშვილი, ბექაური (15ქ,11მ), პირველაშვილი (2ქ), აბაიშვილი (2ქ), შვანგირაძე (8ქ,6მ), ჭოჭუა (14ქ,9მ), ილიჩი, ჯინჭარაძე (2ქ), ფერიაშვილი (7ქ)

**ბათუმი:** ჩორგოლაშვილი, მაისურაძე (7ქ), რამიშვილი (8ქ,5პ), მიქელაძე (9ქ), ელიაშვილი (16ქ), ემირიძე, ჩხაიძე, კეშელავა (14ქ,13მ), ნინუა, ბოლქვაძე (7ქ,9მ), ელიაძე (6ქ)

სამედიცინომ „ბათუმს" უმასპინძლა და მეტოქესთან დაძაბულ მატჩში საბოლოოდ 85:67 იმარჯვა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# 17-წლამდელებმა შესარჩევი მოგებით დაიწყეს

### რუმინეთი – საქართველო 6:27

საქართველოს 17 წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა მომავალ წელს გასამართი 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე მასპინძელ რუმინეთს ბუქარესტში 27:6 სძლია, თანაც 4 ლელო გაიტანა და პრემიალური ქულაც ჩაიწერა აქტივში.

პირველი ტაიმი საკმაოდ დაძაბული და ქულებით მწირი გამოდგა. თუმცა, საწყის 45 წუთში იყო რამდენიმე შანსი, ორივე გუნდს ქულები მოეგროვებინა. ჯერ ქართველთა მიერ დარტყმული ჯარიმა აისხლიტა ძელმა, შემდეგ კი რუმინელებმა ხელსაყრელი პოზიციიდან არაზუსტად დაარტყეს. მალე მათ მეორედ მიიღეს ჯარიმის შესრულების უფლება და ამჯერად დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა. ამასობაში ქართველები მიხვდნენ, რომ ამ გუნდის პრემიალური ქულით დამარცხება იოლად შეეძლოთ, ჯარიმები კარში აღარ დაარტყეს, ხელსაყრელი სიტუაციიდან ბურთი აუტში გაიტანეს, დერეფანი მოიგეს, მოლი ააგორეს და მე-19 წუთზე თევზაძემ პირველი ლელო მიითვალა. რეალიზაცია არაზუსტი იყო.

პირველი ტაიმის დარჩენილი დროც ქართველთა უპირატესობით მიმდინარეობდა და ორჯერ ლელოს გატანაც მართებდათ, მაგრამ ვერაფერი მოახერხეს და ტაიმი 5:3 დასრულდა.

შესვენების შემდეგ ქართველებმა ჯარიმის კარში დარტყმაზე კვლავ უარი თქვეს, ბურთი აუტში გაიტანეს, მოლით მიაწვნენ და პირიაშვილმა ლელო გაიტანა, ბროძელმა კი რეალიზაცია გამოიყენა. მალე ამირანაშვილი გაასინბინეს, ხოლო რუმინელებმა ჯარიმით სხვაობა 6 ქულამდე დაიყვანეს.

კაცნაკლული ქართველები დაცვაში არ ჩამდგარან, პირიქით, მეტოქეს შეუტიეს. ხელსაყრელი სიტუაციიდან ჯარიმა კვლავ აუტში დაარტყეს, დერეფანი მოიგეს, მოლი შეკრეს და ცისკარიშვილმა მესამე ლელო მოუტანა გუნდს, ბროძელმა კი რეალიზაცია გამოიყენა – 19:6.

ბოლო ლელო კი გოგლიძის ანგარიშზეა, თუმცა საბოლოო წერტილი ბოლო წუთზე ბროძელმა დასვა – 27:6.

### ბელგია – პორტუგალია 19:23

შესარჩევ ტურნირში სულ 4 გუნდი მონაწილეობს. პირველი ტურის მეორე შეხვედრაში პორტუგალიამ ბელგია 23:19 დაამარცხა, რითიც პირენეელებმა 4 ქულა მიიღეს, ბელგიელებმა შვიდ ქულაზე ნაკლები სხვაობით მარცხისთვის ერთი პრემიალური დაისაკუთრეს. 3 ტურის შემდეგ ორი საუკეთესო გუნდი მომავალ წელს ევროპის ჩემპიონის ტიტულისთვის ინგლისის, საფრანგეთის, უელსის, ირლანდიის, შოტლანდიისა და იტალიის ნაკრებებთან იბრძოლებს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | 27:6 | 5 |
| 2.პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 0 | 23:19 | 4 |
| 3.ბელგია | 1 | 0 | 0 | 1 | 19:23 | 1 |
| 4.რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 6:27 | 0 |

**დარჩენილი მატჩები:**

**1 ნოემბერი.** სამშაბათი: საქართველო-ბელგია; რუმინეთი-პორტუგალია;

**4 ნოემბერი.** პარასკევი: ბელგია-რუმინეთი; საქართველო-პორტუგალია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**
ევერტონი-მანჩესტერი ............ 0:1
ჩელსი-არსენალი ............ 3:5
სიტი-ვულვზი ............ 3:1
ნორვიჩი-ბლექბერნი ............ 3:3
სანდერლენდი-ასტონ ვილა ............ 2:2
სუონსი-ბოლტონი ............ 3:1
უიგანი-ფულემი ............ 0:2
ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული ............ 0:2

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**
ბარნსლი-ბრისტოლი ............ 1:2
ბირმინგემი-ბრაიტონი ............ 0:0
ვესტ ჰემი-ლესტერი ............ 3:2
დერბი-პორთსმუთი ............ 3:1
დონკასტერი-ქოვენთრი ............ 1:1
კრ.პალასი-რედინგი ............ 0:0
მილუოლი-იფსვიჩი ............ 4:1
ნოტინგემი-ჰალი ............ 0:1
საუთჰემპტონი-მიდლსბრო ............ 3:0
უოტფორდი-პიტერბრო ............ 3:2
ბარნლი-ბლექპული ............ 3:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**
ვალენსია-ხეტაფე ............ 3:1
ვილიარეალი-რაიო ............ 2:0
ბარსელონა-მალიორკა ............ 5:0
სოსიედადი-რეალი ............ 0:1

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**
ალკორკონი-გვადალახარა ............ 1:0
ბარსელონა ბ-ხიმნასტიკი ............ 1:0
უელვა-ნუმანსია ............ 1:1
საბადელი-ალკოაინო ............ 2:2
უესკა-ელჩე ............ 0:1
ლას პალმასი-ვალიადოლიდი ............ 1:0

**იტალია. სერია ა**
კატანია-ნაპოლი ............ 2:1
რომა-მილანი ............ 2:3
ინტერი-იუვენტუსი ............ 1:2

**იტალია. სერია ბ**
ბრეშა-რეჯინა ............ 0:3
ვარეზე-იუვე სტაბია ............ 2:1
კროტონე-პადოვა ............ 2:1
ლივორნო-გუბიო ............ 1:1
ნოჩერინა-სამპდორია ............ 4:2
სასუოლო-გროსეტო ............ 1:0
ტორინო-ემპოლი ............ 2:1
ჩიტადელა-ვერონა ............ 1:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**
ბაიერნი-ნიურნბერგი ............ 4:0
გლადბახი-ჰანოვერი ............ 2:1
ვოლფსბურგი-ჰერტა ............ 2:3
შალკე-ჰოფენჰაიმი ............ 3:1
შტუტგარტი-დორტმუნდი ............ 1:1
მაინცი-ვერდერი ............ 1:3

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**
პადერბორნი-აუე ............ 1:0
დინამო-კარლსრუე ............ 5:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**
აიაჩო-ბორდო ............ 0:2
ბრესტი-ლორიენი ............ 3:1
დიჟონი-მარსელი ............ 2:3
მონპელიე-ნანსი ............ 2:0
პსჟ-კაენი ............ 4:2
ევიანი-ოსერი ............ 3:1
ლიონი-სენტ ეტიენი ............ 2:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**
ლე მანი-ბულონი ............ 1:0
სედანი-ამიენი ............ 3:1

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**
როდა-აიაქსი ............ 0:4
ჰერენვენი-დენ ჰააგი ............ 4:0
ექსელსიორი-ვალვაიკი ............ 1:0
ტვენტე-პსვ ............ 2:2

**პორტუგალია. ა ლიგა**
აკადემიკა-ბრაგა ............ 0:0
ბენფიკა-ოლჰანენსე ............ 2:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**
ანჟი-ამკარი ............ 2:1
კრასნოდარი-ყუბანი ............ 0:2
სპარტაკი-ლოკომოტივი ............ 3:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**
აბერდინი-რეინჯერსი ............ 1:2
დანფერმლაინი-დანდი ............ 1:4
ინვერნესი-მოზერველი ............ 2:3
სელტიკი-ჰიბერნიანი ............ 0:0
სტ.ჯონსონი-სტ.მირენი ............ 0:1
ჰართსი-კილმანროკი ............ 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**
ზაზლცბურგი-რიდი ............ 1:1
ინსბრუკი-ნოიშტადი ............ 2:0
მატერსბურგი-ადმირა ............ 0:0
რაპიდი-შტურმი ............ 3:2

**ბელგია. პროლიგა**
ბრიუგე-გენკი ............ 4:5
ვარეგემი-სერკლი ............ 1:1
ლოკერენი-კორტრაიკი ............ 1:4
მეხელენი-ვესტერლო ............ 1:0
მონსი-გენტი ............ 1:1
ევერლე-ბეერსხოტი ............ 3:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**
სიონი-თუნი ............ 2:0
ბაზელი-გრასჰოპერსი ............ 4:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**
ატრომიტოსი-პანიონიოსი ............ 2:1
პანეთოლიკოსი-ქსანთი ............ 2:0
ოლიმპიაკოსი-ოფი ............ 2:2

**თურქეთი. სუპერლიგა**
ანთალია-ორდუ ............ 1:1
გაზიანთეპი-ტრაბზონი ............ 0:1
ერჩიესი-სამსუნი ............ 1:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**
ბანიკი-დუკლა ............ 1:2
სპარტა-ბოლესლავი ............ 0:3
ჟიჟკოვი-ლიბერეცი ............ 1:4

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**
ბელხატოვი-ზაგლებიე ............ 2:1
ვიძევი-კრაკოვია ............ 1:0
ვისლა-პოდბესკიჟიე ............ 0:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**
ოლექსანდრია-შახტარი ............ 2:3
მეტალისტი-ვორსკლა ............ 2:2

**დანია. სუპერლიგა**
ჰორსენსი-სილკებორგი ............ 1:1

**შვედეთი. თასი**
იორებრო-ჰელსინბორგი ............ 1:3

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**
ვაასა-როვანიემი ............ 2:1
ინტერი-ჯჯკ ............ 2:1
კუუპიო-ტპს ............ 2:0
მარიეჰამნი-ჰონკა ............ 1:1
ჰიკი-ჰაკა ............ 5:2
იარო-მიუპა ............ 2:4

**აშშ. მლს**
**პლეი– ოფი. მეოთხედფინალი**
სოლტ ლეიკი-სიეტლი ............ 3:0

**ბრაზილია. სერია ა**
ბოტაფოგო-კრუზეირო ............ 1:0
სანტოსი-ატლეტიკო(პ) ............ 4:1
სეარა-ფლუმინენსე ............ 1:2

**არგენტინა. აპერტურა**
არხენტინოსი-ველეჟი ............ 3:1
ოლდ ბოიზი-ოლიმპო ............ 2:2
ინდეპენდიენტე-არსენალი ............ 0:0

**ჩოგბურთი**

**ატპ. ბაზელი. ფინალი**
ისტომინი-ჩიუდინელი ............ 5:7;0:6
სტახოვსკი-ლაკო ............ 5:7;0:6
ტომიჩი-ლამერი ............ 7:6;4:6;5:7
ბერერი-კამკე ............ 2:6;6:2;3:6

**ატპ. ვენა. ფინალი**
დელ პოტრო-ანდერსონი ............ 6:4;3:6;6:4
ცონგა-ბრანდსი ............ 6:2;7:6

**ატპ. სანკტ პეტერბურგი. ფინალი**
ტიპსარევიჩი-ბოგომოლოვი ............ 6:2;6:1
იუჟნი-ჩილიჩი ............ 3:6;4:6

**ვტა. შემაჯამებელი ტურნირი**
კვიტოვა-სტოსური ............ 5:7;6:3;6:3
აზარენკო-ზვონარევა ............ 6:2;6:3

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**
რეინჯერსი-ოტავა ............ 4:4(0:1ბ)
აილენდერსი-სან ხოსე ............ 2:3(ოტ)
ბუფალო-ფლორიდა ............ 2:3
მონრეალი-ბოსტონი ............ 4:2
ტამპა ბეი-ვინიპეგი ............ 1:0
ტორონტო-პიტსბურგი ............ 4:3
ფილადელფია-კაროლინა ............ 5:1
დალასი-ნიუ ჯერსი ............ 3:1
მინესოტა-დეტროიტი ............ 1:0
ნეშვილი-ანაჰაიმი ............ 3:0
ჩიკაგო-კოლამბუსი ............ 5:2
ფინიქსი-ლოს ანჯელესი ............ 3:2(ოტ)
ვანკუვერი-ვაშინგტონი ............ 7:4

# სირიის პრეზიდენტი დასავლეთს მეორე ავღანეთით დაემუქრა

სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი მისი ქვეყნის საქმეებში ჩარევის შემთხვევაში დასავლეთს „მიწისძვრით“ დაემუქრა. სირიაში ანტისამთავრობო გამოსვლების ჩახშობის შედეგად .ბოლო შვიდი თვის განმავლობაში სამი ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

Aარსებული მონაცემების თანახმად, გასული პარასკევი ერთ-ერთ ყველაზე სისხლიან დღედ იქცა. ქალაქებში ჰომსსა და ხამაში 37 დემონსტრანტი დაიღუპა. შაბათს ჰომსში კიდევ სამი ადამიანი დაიღუპა.

Gგაეროს გენერალურმა მდივანმა და არაბული სახელმწიფოების ლიგამ ცოტა ხნის წინ სირიის ხელისუფლებს რეპრესიების შეჩერების მოწოდებით კიდევ ერთხელ მიმართა.

Bბრიტანულ გაზეთ „სანდი თაიმსისათვის“ კვირას მიცემულ ინტერვიუში ბაშარ ასადმა განაცხადა, რომ სირია ახლო აღმოსავლეთის ეპიცენტრია და ვითარების ნებისმიერი გამწვავება ამ ქვეყანაში რეგიონის აალებას გამოიწვევს.

„თქვენ მიწისძვრა შეიძლება გამოიწვიოთ. გინდათ კიდევ ერთი ავღანეთი ან ათი ავღანეთი?“ – განაცხადა მან.

სირიის ლიდერმა განაცხადა, რომ „არაბული გაზაფხულის“ შედეგად დამხობილი არაბი ლიდერებისგან განსხვავებით, იგი რეფორმების დაპირებებით გამოსვლების დაწყებიდან ექვსი დღის შემდეგ გამოვიდა.



ასადმა მის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები შეაფასა, როგორც რელიგიური ისლამიზმისა და საერო პანარაბიზმის დაპირისპირება.

„ჩვენ ძმები-მუსლიმანების წინააღმდეგ 1950-იან წლებშიც ვიბრძოდით და ახლაც ვიბრძვით“, – განაცხადა მან.

ლონდონში ბაზირებული ადამიანის უფლებების დაცვის სირიის სადამკვირვებლო ცენტრის განცხადებით, ქალაქ ჰომსას ისტორიულ რაიონს, ბაბა ამრს, შაბათს ტანკების ცეცხლი დაუშინეს.

ქალაქში მიმდინარეობდა ბრძოლები სამთავრობო ჯარებსა და ოპოზიციის მხარეზე გადასულ სამხედრო მოსამსახურეებს შორის. ტყვიამფრქვევების ცეცხლით ორი ადამიანი დაიღუპა, ერთი სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ინფორმაციით, ქვეყნის აღმოსავლეთით, ქალაქ დეირ ელ ზურში, რეიდები და დაპატიმრებები მიმდინარეობდა.

სააგენტო „ფრანს პრესი“ ადამიანის უფლებათა დაცვის სირიელ აქტივისტებზე მითითებით იუწყება, რომ ქალაქ ჰომსის მახლობლად ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში უცნობ პირებთან ბრძოლის შედეგად 20 ჯარისკაცი დაიღუპა, 53 დაიჭრა.

სავარაუდოდ, მათი მოწინააღმდეგეები დეზერტირი ჯარისკაცები იყვნენ.

კიდევ ერთი შეტაკება შაბათს იდლიბის პროვინციაში მოხდა, თურქეთის საზღვრის მახლობლად. უშიშროების სამსახურის ავტობუსი ალ-ჰაბიტისა და კაფრნდუდას სოფლებს შორის ჩასაფრებულ მოწინააღმდეგეს გადაეყარა. დაიღუპა ათი აგენტი და ერთი თავდამსხმელი.

ამ ინფორმაციების დამოუკიდებელი წყაროებით დადასტურება ვერ ხერხდება, რადგან სირიის ხელისუფლები ჟურნალისტებს შემთხვევის ადგილზე მუშაობის შესაძლებლობას არ აძლევენ.

# ტიმოშენკოს ახალ-ახალ საქმეებს უხსენებენ

უკრაინის საგამოძიებო ორგანოები სისხლის სამართლის კიდევ სამ საქმეს იძიებენ, სადაც ყოფილი პრემიერ-მინისტრის, იულია ტიმოშენკოს სახელი ფიგურირებს.

ამ განცხადებით ტელეარხ „ინტერის“ ეთერში უკრაინის გენპროკურორის პირველი მოადგილე რენატ კუზმინი გამოვიდა.



მისი თქმით, პირველ საქმეს უშიშროების სამსახური იძიებს, მეორეს – საგადასახადო პოლიცია და იგი ფირმა „ედინიე ენერგეტიჩესკიე სისტემის“ ხელმძღვანელად ტიმოშენკოს ყოფნის დროს გადასახადების გადახდისათვის თავის არიდებას უკავშირდება.

გარდა ამისა, როგორც კუზმინმა განაცხადა, ეს საქმე სახელმწიფო სახსრების დატაცებასაც უკავშირდება.

კუზმინის თქმით, აღძრულია აგრეთვე სისხლის სამართლის საქმე უზენაესი სასამართლოს წევრებისათვის ქრთამის მიცემის მცდელობის, აგრეთვე ერნიგოვოს საგამოძიებო იზოლატორზე თავდასხმასა და ადამიანის ცემასთან დაკავშირებით.

კუზმინმა იმედი გამოთქვა, რომ ამ საქმეებთან დაკავშირებით სასამართლო პრემიერ-მინისტრს დამნაშავედ ცნობს.

მან საგანგებოდ აღნიშნა, რომ ტიმოშენკოს წინააღმდეგ აღძრული კიდევ ერთი საქმე, რომელიც 1995 წელს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მოხელეების მოქრთამვას უკავშირდება, არამარეაბილიტებელი მიზეზებით ხანდაზმულობის ვადის გამო შეწყდა.

ყოფილ პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს კიევის პეჩორის სასამართლომ რუსეთთან გაზის მიწოდების კონტრაქტის ხელმოწერისას უფლებამოსილების გადაჭარბების ბრალდებით 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია და მას სააპელაციო სასამართლო განიხილავს.

ამ განაჩენმა ევროკავშირისა და რუსეთის კრიტიკაც გამოიწვია.

უკრაინის ოპოზიციამ ევროკავშირს უკრაინის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის ანგარიშების გაყინვისა და მათთვის ევროკავშირის ვიზების გაცემის შეზღუდვისაკენ მოუწოდა.

უკრაინის უზენაესმა რადამ ახლო მომავალში უნდა განიხილოს კანონპროექტი სისხლის სამართლის იმ მუხლების დეკრიმინალიზაციის შესახებ, რითაც ტიმოშენკო გაასამართლეს. კერძოდ, ახალი რედაქციით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბება სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი მიზნად პირად გამორჩენას ისახავს.

# ამერიკელი მსახიობების პროფკავშირი მსახიობთა ასაკის გამოქვეყნების წინააღმდეგია

ამერიკის კინომსახიობთა გილდიამ და ტელევიზიისა და რადიოს მსახიობთა ფედერაციამ მსახიობების დაბადების თარიღების გამოქვეყნებისათვის ინტერნეტ საიტი „მუვი დათაბეიზი“ გააკრიტიკეს.

ეს საიტი მსახიობების, ფილმებისა და სატელევიზიო შოუების მონაცემთა ბაზას წარმოადგენს.

პროფკავშირების განცხადებით, ამ ინფორმაციის გამოქვეყნება ასაკობრივ დისკრიმინაციას ახდენს და მსახიობებს როლების მიღებაში უშლის ხელს.

პროფკავშირების წარმომადგენლების თქმით, მსახიობების ასაკს ქასთინგისათვის მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, როგორ გამოიყურებიან მსახიობები და რა როლების შესრულება შეუძლიათ მათ.

ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა კინომსახიობმა ქალმა, რომლის ვინაობაც არ გაუმხელიათ, სასამართლოში უჩივლა ინტერნეტ საიტ „ამაზონის“ მფლობელ კომპანიას და მისი ასაკის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის კომპენსაციის სახით მილიონი დოლარი მოითხოვა.

ეს საიტი ათასობით კინომსახიობის ინფორმაციას შეიცავს. მათი უმეტესობა სულაც არ არის ვარსკვლავი, ასე რომ, მათი ბიოგრაფიები, შესაძლოა, საზოგადოებრივი ინტერესის საგანს არ წარმოადგენდეს, სამაგიეროდ, მათ ხშირად იყენებენ როლებზე ქასთინგის დროს.




გავრცელებული შეხედულების თანახმად, მსახიობისა და პერსონაჟის ასაკი მაქსიმუმ 5 წლით შეიძლება განსხვავდებოდეს. პროფკავშირების წარმომადგენლების თქმით, მსახიობთა ასაკის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებამ მსახიობების შემოქმედებითი შესაძლებლობების შეზღუდვა შეიძლება გამოიწვიოს.

## როგორ იყენებთ დროს

ტესტი



**ტესტის შეკითხვებს უპასუხეთ ა. არა. (1) ბ. დიახ.(2) გ. ხანდახან. (3)**

1. გჩვევიათ თუ არა საქმის კეთებისას ფაციფუცი?
2. ახარისხებთ თუ არა თქვენს საქმეებს მნიშვნელობის მიხედვით?
3. თუ შეგიმჩნევიათ, რომ ინფორმაციის ძიება დროის მეტ ნაწილს გართმევთ?
4. თუ გეგმავთ საქმეებს ერთი დღით, ერთი კვირით ადრე?
5. თუ ხდება, რომ ხშირად დრო არ გყოფნით საქმის დასამთავრებლად?
6. თუ ცდილობთ ყველაფრის თავად კეთებას და სხვის იმედად არ ხართ?
7. შეიძლება ითქვას, რომ კოლეგებთან ურთიერთობა ბევრ დროს გართმევთ?
8. ერთდროულად რამდენიმე საქმეს ეჭიდებით და ცდილობთ მათ ერთდროულად შესრულებას?
9. ხშირად გართმევენ დროს სატელეფონო საუბრები?

## პასუხები

**9-15 ქულა:** ძალიან მოუწესრიგებელი ხართ, არ შეგიძლიათ დროის გამოყენება, უკანასკნელ მომენტში იწყებთ ხოლმე საქმის კეთებას.

**16-21 ქულა:** არის პერიოდები, როდესაც ძალიან მობილიზებული ხართ და ყველაფერს აკონტროლებთ, მაგრამ ხანდახან დადგენილი რიტმი ირღვევა და ვერაფერს ასწრებთ.

**22–27 ქულა:** ორგანიზებული და მობილიზებული ადამიანი ხართ, შეგიძლიათ თქვენი შესაძლებლობების ობიექტურად შეფასება, დრო ყველაფრისთვის გყოფნით.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## იუმორი



საპარიკმახეროში

– მინდა, თავი წესრიგში მოვიყვანო.

– მისამართი შეგეშალათ, ფსიქიატრი მოპირდაპირე სახლშია...

***

– 15 წლისას ბოშა ქალმა მიმკითხავა, რომ გაიზრდები, მთელ შენს ფულს ქალებს დაახარჯავო. ახლა ცოლი და სამი ქალიშვილი მყავს და მთელ ჩემს ფულს მათ ვახარჯავ... თუმცა, 15 წლისა ცოტა სხვაგვარად ვფიქრობდი....

***

მასწავლებელი:

– რას ნიშნავს გამოთქმა „სიზიფეს შრომა“?

მოსწავლე:

– უსარგებლო შრომას, მაგალითად, გაკვეთილი ისწავლე და არ გამოგიძახეს...

***

იდეალური ქმარი არის ის, რომელიც დროზე მოდის სახლში, ყიდულობს პროდუქტებს, ამზადებს საჭმელს, ჭურჭელს რეცხავს, ბინას ალაგებს, ბავშვებზე ზრუნავს...

გამოდის, იდეალური ქმარი ცოლი ყოფილა...

## ასტროპროგნოზი 31 ოქტომბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

<u>წარმატებული დღეა</u>

**ვერძი** – ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **ლომი** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, გელით სხვა კარგი ამბავიც. **ქალწული** – დროა, თავს მიხედოთ. **სასწორი** – იმიჯის შეცვლაზე ფიქრი ღირს. **ღრიანკალი** – ახალი პროექტი გაამართლებს, ფული გექნებათ. **მშვილდოსანი** – მშვიდად იმოქმედეთ, მთავარია საქმე ბოლომდე მიიყვანოთ. **თხის რქა** – გელით ძვირფასი საჩუქარი. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი



1. ალგორითმული ენა; 2. იუპიტერის თანამგზავრი; 3. სისხლის აღრევა; 4. ინფექციური დაავადება; 5. ცეცხლის ანადენი; 6. მინანქარი; 7. ფრანგი ფერმწერი (XX ს.); 8. „მდოგვის გაზი“; 9. ხანა, ეპოქა; 10. თანხის წინასწარ გადახდილი ნაწილი; 11. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 12. ყველასთვის სავალდებულო წესი; 13. ციმბირული ირემი; 14. მუზეუმი მადრიდში; 15. ქართული გაზეთი; 16. ბატონი თურქეთში (ძველად); 17. მწვავე ქიმიური ნაერთი; 18. მზა კერძის ცხლად შესანახი მოწყობილობა; 19. ქოჩრიანი თუთიყუში; 20. ერთგვარი ბრუნი ბალეტში; 21. მუხის ნაყოფი; 22. აღმოსავლური ჭიდილი; 23. ჰო, დიახ; 24. ხელოვნური თმა; 25. ფილმის ცალკეული ეპიზოდი; 26. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 27. კლინიკაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინებული ექიმი; 28. ქიმიური ელემენტი; 29. ტალღებით გამოწვეული ზღვის ნაპირის ნგრევა; 30. სინათლის ვიწრო, ინტენსიური კონის მისაღები ხელსაწყო; 31. „... დაიდარდო!“; 32. დედამიწის უმაღლესი მწვერვალი.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. თუტმოსი; 2. ჟიგოლო; 3 მისისიპი; 4. გენეტიკა; 7. ქათინაური; 8. გრავიურა; 12. პარასოლი; 14. ამუდარია; 16. „სანტოსი“; 17. არქტიკა; 19. რადა; 20. კოკი.

**თარაზულად:** 5. კუპიდონი; 6. კვირინალე; 9. ჯორჯია; 10. ლოტოსი; 11. რაგბი; 13. ბახში; 15. „ამლახუ“; 18. ხარკი; 21. ღრიანკალი; 22. ოოლოგია; 23. მარჩილი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პოლიცია; 2. სუმიდა; 3. შუშაბანდი; 4. დუნსტი; 5. ვარიანტი; 7. რური; 11. მესხეთი; 13. ნიორაძე; 16. კოლბა; 18. ათოსი; 19. რეიხი.

**თარაზულად:** 6. გრავიურა; 8. „სუფრული“; 9. ჭინჭარი; 10. ცინიზმი; 12. მარჟა; 14. ღიღინი; 17. დრომადერი; 20. ყეენობა; 21. სხვენი; 22. სისხლი; 23. ჯაფარიძე.

# ნანა ცინცაძე შეშლილ დღესასწაულს აწყობს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

დადებითად ჩემი საკითხი, უზარმაზარი ღელვა მაქვს. სულ ვფიქრობ, ახლა რომ ეს ყველაფერი იწყებოდეს, დავიწყებდი თუ არა. ჩემს თავს ვეუბნები, ვინ მოგცა ამის უფლება-მეთქი. ვიცი, რომ რუსთაველის თეატრში და „იმედში" ზარები არ წყდება და კითხულობენ, როგორ უნდა მოხვდნენ ამ საღამოზე. ამ ყველაფერმა დამანახა, რომ სიყვარული, რომელსაც გასცემ, ბუმერანგივით გიბრუნდება უკან. როგორც არ უნდა იყო ადამიანი, შეგიძლიათ შენი სახლის კარზე გააკრა ასეთი სიტყვები – ვივატ, ჩვენ ვცოცხლობთ. ეს ყველაზე დიდი რამ არის, რისი თქმის უფლებაც უნდა მოგვეცეს ღვთისგან.

***– თქვენი ლექსები, ძირითადად სიყვარულზეა. რა არის თქვენთვის სიყვარული?***

– სიყვარული ყველაფრის მომცველია. ამის კი არ მჯერა, ამით ვცხოვრობ. როცა დრო გადის, როცა ყველაფერი თავის ადგილას ლაგდება, იკვეთება ადამიანის სახე. დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მართლა ძალიან მიყვარს ადამიანი. ალბათ ყველაფერი ამის გამო იქმნება. სიყვარულით შექმნილი, აბსოლუტურად განსხვავებულია სხვა გრძნობებით შექმნილისგან. ყველაფერს, რასაც ახლავს სიყვარული, მორჩილება უფლისადმი, დანარჩენისგან გამორჩეულია. თუმცა ისე არ გამიგოთ, თითქოს განსაკუთრებული მორწმუნე ვარ. სულიერად, მთელი ჩემი არსებით ძალიან მინდა, რომ ასე იყოს, მინდა მივისწრაფოდე ამისკენ, მაგრამ ჯერჯერობით ამისგან ძალიან შორს ვდაგავარ. ეს ყველაფერი ძალიან რთულია. ვერ ვიკადრებ ვთქვა ის, რომ მაგარი მრევლი ვარ. მინდა ეს ყველაფერი ჩემში შემოვიდეს. მოძღვარიც მყავს. პატარა სამების მამა გიორგია ჩემი მოძღვარი, ის ძალიან კარგად მიცნობს, იცის ჩემი სული, ჩემი შინაგანი სამყარო, ამით კი ბედნიერი ვარ. მასთან არასოდეს მითამაშია, პირდაპირი ადამიანი ვარ. ფაქტი ერთია, რომ არ შემიძლია ვიფარისევლო და პირჯვარი ტყუილად გადავიწერო, როცა ამის სურვილი არ გამაჩნია, ან ვიმარხულო მაშინ, როცა ისეთი რაღაც შეგიპყრობს, გგონია, რომ კაცს მოკლავ, ამ დროს კი საჭმლით მარხულობ, რომელიც ყველაზე ბოლოა. სახარებაში შავით თეთრზე წერია, მთავარი ის კი არ არის, რაც ჩამავალია, რომელიც გაივლის გულს და გარეთ გამოდის, არამედ ის, რაც ამომავალიაო. ჩვენი პიროვნებაა მთავარი და არა ის, ფარისევლობით რასაც ვაჩვენებთ უფალს.

***– როგორია თქვენეული პოეზიის სამყარო?***

– პოეზია ჩემთვის დიდი სამყაროა, სადაც გამორჩეული ადგილი სწორედ სიყვარულს უკავია. ეს კი იმიტომ ხდება, რომ სიყვარულს ამ ცხოვრებაში ალტერნატივა არ აქვს. ვცდილობ, ჩემი ტექსტები მრავალფეროვანი იყოს. როცა ჩემთან მელოდია მოაქვთ, მირჩევნია არ მითხრან რაზე უნდა დავწერო ლექსი და თავად მივხვდე, როგორი ლექსი მოუხდება ამა თუ იმ მუსიკას. ასე მუშაობა ჩემთვის უფრო კომფორტულია.

***– როგორია საკონცერტო რეპერტუარი?***

– საკმაოდ მრავალფეროვანი. პოეზია, ესტრადა, ხალხურ თემაზე შექმნილი სიმღერები, ქალაქური ბლოკი, ბალაგანური ბლოკი, რომანსები. ეს იქნება ქართული სიმღერა და არა ინგლისური სტილის სიმღერებს მორგებული ქართული ტექსტი, რომელსაც ისე მღერიან, რომ შეიძლება ვერც კი გაარჩიო, რომელ ენაზე მღერის შემსრულებელი, ეს ჩემს საღამოზე არ იქნება – იქნება მხოლოდ ქართული სიმღერა და ქართული ლექსი.

***– კომპოზიტორებსაც არჩევთ?***

– ყველა კომპოზიტორს პატივს ვცემ. ყველა თაობის კომპოზიტორთან და ყველა ჟანრის შემსრულებელთან მიმუშავია. პირველ რიგში, მადლობას ვუხდი იმ კომპოზიტორებს და შემსრულებლებს, რომლებიც ჩემ გვერდით არ არიან, ისინი იქნებიან დარბაზში, იმიტომ, რომ არ შეიძლება ერთმა კონცერტმა ყველა დაიტიოს. მადლობა მათ, რომ ჩემთან თანამშრომლობენ და ისინი ძალიან მიყვარს.

***– ხომ არ განაწყენდნენ?***

– არა მგონია, იმიტომ, რომ ყველას ერთ კონცერტში ჩატევა მართლა შეუძლებელია. ჩემთვის მთავარია, რომ დარბაზში იქნებიან, ეს ჩემთვის ერთგვარი მხარდაჭერაა.

## კროსვორდი



**თარაზულად:** 5. თბილისის გარეუბანი; 6. თექის მსგავსი ზედა სამოსი; 9. სამიჯნურო ურთიერთობა ქალ-ვაჟს შორის; 10. გამოცანა, მოცემული ნახატების დახმარებით; 11. მზის სისტემის პლანეტა; 13. სპორტის სახეობა; 15. ძალიან ღარიბი; 18. ძვლოვანი ამონაზარდი პირის ღრუში; 21. საბუთი; 22. გაუვალი, დაბურული ადგილი; 23. მხარეთა მაჩვენებელი ხელსაწყო.

**შვეულად:** 1. შტატი აშშ-ში; 2. ძველბერძნული სიმებიანი საკრავი; 3. ბრტყელი ყაბაყი; 4. მექანიკის ნაწილი; 7. საკრავის მიერ გამოცემულ ბგერათა ერთობლიობა; 8. ზუთხის, ორაგულის ზურგის ანაჭერი; 12. მამალი ცხვარი; 14. დერეფანი; 16. შუქფარი; 17. თოვლზე სასრიალო; 19. ... მორიკონე; 20. ზურგჩანთა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

# კახა კალაძე მილანს შეეჩვია და საქართველოში დაბრუნდება



საქართველოს ნაკრების კაპიტანი და იტალიური „ჯენოას" მცველი კახა კალაძე საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. ეს ინფორმაცია კალაძემ უკრაინულ მედიას გაუმჟღავნა, სადაც ორიოდე დღის წინ იმყოფებოდა.

– საქართველოში დავიბადე და გავიზარდე და მის გარეშე თავი ვერ წარმომიდგენია. იქაა ჩემი და ჩემი მეუღლის სანათესაო. უამრავი მეგობარი მყავს იტალიასა და უკრაინაში. კიევში ჩამოსვლას არცთუ ისე ხშირად, მხოლოდ მაშინ ვახერხებ, როცა თავისუფალი დრო მაქვს, რადგან კიევის „დინამოდან" ჩემ ყოფილ თანაგუნდელებთან კავშირი მაქვს. განსაკუთრებით ანდრეი შევჩენკოსთან.

კალაძემ ის პერიოდიც გაიხსენა, როდესაც კიევიდან მილანში გადაბარგდა.

– იტალიური ერთი სიტყვაც არ ვიცოდი და ინგლისურ ენაზე მიწევდა ურთიერთობა. თუმცა მთავარი ის არ არის, რომ პომპეზური კიევიდან ჩასული ვათვალიერებდი მილანს და ვფიქრობდი – ღმერთო ჩემო, სად მოვხვდი? რა მოსაწყენი ქალაქია. შემდეგ კი მივეჩვიე. ახლა კი, ყველაზე მეტად იტალიური სამზარეულო მიყვარს, – განაცხადა კალაძემ.

# არმიას ფინალში აია შეუწყვილდა

**აია – ლოკომოტივი 27:7**

**ქუთაისი. დინამოს სტადიონი.**

**2.000 მაყურებელი**

**აია:** ლომიძე, გურეშიძე, ტ.ჩხიკვაძე, ჩიტეიშვილი, ძაგნიძე, რევიშვილი, მეტრეველი, თხელიძე, გოგია, სინაურიძე, გოშაძე, ი.გიორგაძე, ი.ჩხიკვაძე, აბრამიძე, ხამაშურიძე

**შეცვლაზე შევიდნენ:** ჟვანია, მატკავა, დგებუაძე, არაბიძე, ცირეკიძე, ზვიადაძე

**3 ლელო:** ხამაშურიძე (2), აბრამიძე

**3 გარდასახვა:** სინაურიძე (3)

**2 საჯარიმა:** სინაურიძე (2)

ლოკომოტივი: გასვიანი, ზარიძე, ვეფხვაძე, ნიშნიანიძე, გუნიავა, გენებეშვილი, ჩიტიძე, ბერიშვილი, ღვინჯილია, კვინიხიძე, ნოზაძე, ბერძენიშვილი, კობერიძე, ქავთარაძე, კავთიძე

**შეცვლაზე შევიდნენ:** ელოშვილი, ახვლედიანი, შიოშვილი

**ლელო:** ჩიტიძე

**გარდასახვა:** კვინიხიძე

რეგულარული ჩემპიონატის მაყურებელ სპეციალისტებს ქუთაისური გუნდი ფინალში ადრიანად გასული ეგონათ, მაგრამ „არმიასთან" მარცხმა კიდევ ერთი ჯახის გადატანა მოუტანათ, თუმცა ეს ამოცანა ძლიერ „ლოკომოტივთან" საკმაოდ იოლად გადაწყვიტეს.

მატჩის დასაწყისიდანვე მასპინძლები შეტევაზე გადავიდნენ და უკვე მე-5 წუთზე მარცხენა ფლანგზე ქუთაისელებმა აუტი მოიგეს, გოშაძემ კარგი პასი გაუკეთა ხამაშურიძეს, მან კი მოწინააღმდეგის ხაზი გაჭრა, ბურთიანად 30 მეტრი ირბინა და პირველი ლელო დადო. გარდასახვა ზუსტად შეასრულა სინაურიძემ – 7:0.

ამის შემდეგ სალელოე შანსი სტუმრებს მიეცათ – ისინი ერთ მომენტში, ლელოს ხაზამდე ორ მეტრშიც კი იყვნენ, მაგრამ მასპინძელთა დაცვა მედგრად დადგა და თავიც კარგად დაიცვა. მატჩის 28-ე წუთზე კი ქუთათურებმა ანგარიში გაზარდეს – ლელო ამჯერადაც ხამაშურიძის ანგარიშზეა. გარდასახვა ისევ სინაურიძემ გამოიყენა – 14:0.

რკინიგზელებმა მალევე შეამცირეს ანგარიშში სხვაობა – ლელოს ავტორი ჩიტიძეა, ხოლო გარდასახვა კვინიხიძემ გაიტანა – 14:7.

მეორე ტაიმის დაწყებიდან ათი წუთიც არ იყო გასული, რომ მასპინძელთა უპირატესობა ისევ სოლიდური გახდა. ამჯერად ბრწყინვალედ გაისარჯა ქუთაისელი აბრამიძე, რომელმაც აუტის მოგების შემდეგ დაახლოებით 40 მეტრი ირბინა, სამი მოწინააღმდეგეც გააცურა და ლელოც დადო.

დარჩენილ დროში სინაურიძემ ორი ჯარიმა შეასრულა ზუსტად. საბოლოოდ 27:7 გაიმარჯვა „აიამ" და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

ფინალი კი 5 ნოემბერს თბილისში, „არმიასა" და „აიას" შორის გაიმართება და ავჭალის სტადიონზე 14 საათზე დაიწყება.

# სოხუმი ცხრილის თავშია, უდანაკარგო კი სამია

დასაწყისი მე-9 გვერდზე

თამაში „ზღვისპირელთა" უპირატესობით დაიწყო და შეხვედრის პირველი ათწუთეულიც მათივე გამარაჯვებით – 19:13 დასრულდა. მეორე მეოთხედიც ბათუმელთა უპირატესობით დაიწყო, თუმცა შუაწელში მედიკოსებმა მოახერხეს მობილიზება, თამაში თავიანთ სასარგებლოდ შემოატრიალეს და პერიოდის დასრულებამდე 2 წუთით ადრე მეტოქეს სამი ქულით, 30:27 გაუსწრეს. თუმცა, ამის მიუხედავად, ,,რსუ-ბათუმი" არ მოდუნებულა, კვლავ იძალა და დიდ შესვენებაზე 2-ქულიანი უპირატესობით გავიდა – 34:32.

მესამე პერიოდი სულ სხვაგვარად განვითარდა, სამედიცინომ სწორედ ამ მეოთხედში გატეხა ბათუმის გუნდი და ათწუთეულში 29:9 იმარჯვა. ბოლო, დასკვით მეოთხედში თსსუ-მ კიდევ უფრო გაიმყარა საკუთარი პოზიციები და მეტოქე სოლიდური სხვაობით დაამარცხა.

მოგებულებს 21 ქულით ბექა ჩიკვილაძემ ულიდერა, ხოლო ორმაგი დუბლი ბექა ბექაურმა შეასრულა, რომელმაც 15 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა. ბათუმელთა რიგებში კი 16 ქულით ავთანდილ ელიაშვილი გამოირჩა.

**სოხუმი – დინამო 84:73**

**(24:10, 20:19, 16:24, 24:20)**

**სოხუმი:** ფარღალავა (28ქ,9მ,6პ), როგავა, ბულიავა (2ქ), კანკია (3ქ), ჩლაიძე (8ქ), გაი, სორდია, ათუაშვილი (6ქ,4დ), ფაცაცია (27ქ,10მ,5პ), გაფრინდაშვილი, ქადარია (10ქ,12მ)

**დინამო:** ბაქრაძე (10ქ,5პ), ლეჟავა (3ქ), ლომიძე, სანაძე (6ქ), მარხვაშვილი (13ქ), კეიდია (7ქ,8მ), ალხანაიძე, მეხრიშვილი, ჯანგველაძე (7ქ), როდუმტა (6ქ,6მ), სუხიშვილი (11ქ), დეივი (10ქ)

შეხვედრა სოხუმელთა უპირატესობით დაიწყო და პირველი ნახევარი მათივე გამარჯვებით 44:29 დასრულდა.

მესამე მეოთხედში დინამოელები გააქტიურდნენ, თუმცა მოსაგებად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. სოხუმელებს მეტოქისთვის მოგების შანსი არ დაუტოვებიათ.

საბოლოოდ „სოხუმმა" „დინამო" სოლიდური სხვაობით 84:73 დაამარცხა.

გამარჯვებულებს 28 ქულით ლაშა ფარღალავამ ულიდერა, რომელმაც 9 მოხსნა, 6 პასი მიითვალა და ორმაგი დუბლამდე 1 მოხსნაღა დააკლდა. ორმაგი დუბლი კი სოხუმელთა რიგებში ერთბაშად ორმა კალათბურთელმა შეასრულა – ლევან ფაცაციამ 27 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა, ხოლო ვახტანგ ქადარიამ 10 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა საკუთარ ანგარიშზე.

„დინამოს" შემადგენლობაში იყო საუკეთესო გიორგი მარხვაშვილი, რომელმაც საკუთარ გუნდს 13 ქულა შესძინა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.სოხუმი | 3 | 3 | 0 | 280:205 | 6 |
| 2.სტუ | 3 | 2 | 1 | 276:251 | 5 |
| 3.შსს | 3 | 2 | 1 | 267:245 | 5 |
| 4.ქუთაისი | 3 | 2 | 1 | 255:223 | 5 |
| 5.არმია | 2 | 2 | 0 | 179:102 | 4 |
| 6.ოლიმპი | 2 | 2 | 0 | 149:140 | 4 |
| 7.თსსუ | 3 | 1 | 2 | 230:259 | 4 |
| 8.თსუ | 2 | 1 | 1 | 145:137 | 3 |
| 9.ბათუმი | 3 | 0 | 3 | 212:263 | 3 |
| 10.დინამო | 3 | 0 | 3 | 218:276 | 3 |
| 11.რუსთავი | 3 | 0 | 3 | 205:292 | 3 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# სტალონეს ფილმის გადაღებისას კასკადიორი დაიღუპა

ამერიკელი მსახიობისა და პროდიუსერის სილვესტერ სტალონეს ფილმ „შეუჩერებელნის" გაგრძელების გადაღების დროს კასკადიორი დაიღუპა, მისი კოლეგა კი მრავალრიცხოვანი ტრავმებით საავადმყოფოში მოხვდა.

დაღუპული კასკადიორის ვინაობა არ გაუმხელიათ. ის და მისი კოლეგა იმყოფებოდნენ გასაბერ ნავზე, რომელიც პიროტექნიკოსებმა ააფეთქეს.

ფილმს ბულგარეთში, სოფიიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ ოგნიანოვოს წყალსაცავზე იღებდნენ.

სილვესტერ სტალონე პირველი ფილმის რეჟისორი გახლდათ, მეორე ფილმში კი პროდიუსერის მოვალეობებს ასრულებს. აფეთქების დროს იგი სხვა ეპიზოდის გადაღებაში მონაწილეობდა.

ახალ ფილმში, ისევე, როგორც პირველში, გარდა სტალონესი, მძაფრსიუჟეტიანი ფილმების სხვა ვარსკვლავებიც მონაწილეობენ, მათ შორის, არნოლდ შვარცენეგერი, ბრიუს უილისი, დოლფ ლუნდგრენი, ჩაკ ნორისი და ჟან-კლოდ ვან დამი.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 31 ოქტომბერი**

**07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.50** 10 პლუს 10 **15.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **17.00** ჩვენი ფერმა **17.30** ჩვენი სამართალი **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** სერ. **"მისამართი უცნობია"** **21.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **22.00** აუდიტორია **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **00.00** ღამის საუბრები **01.00** მოამბე **01.20** მხ. ფილმი **"როზმარის ბავშვი"** (**15**) (მ. ფეროუ) **03.50** სერ. **"ზიანი"** (**12**) **04.50** მხ. ფილმი **"ზუსტად კალათაში"** (**15**)

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** საბ. ფილმი **"ჰერაკლე"** **10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.30, 17.45, 23.30** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00, 01.00** სერ. **"ელიტარული უბანი"** **20.00** მხ. ფილმი **"შეკლეტონი"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **02.00** მხ. ფილმი **"სასკოლო კავშირები"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"როსალინდა"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **22.00** ჯეოსტარი **00.00** შუა დღე **01.00** პატრული **01.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** **16.00** სერ. **"შურისძიების საფასური"** **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** მუს. ლიგა (გან.) **23.20** მხ. ფ. **"ტრანსპორტერი 3"** (**12**) (ჯ. სტეტჰემი) **01.40** მხ. ფილმი **"უცხოპლანეტელი 3"** **03.30** მხ. ფ. **"მტრის საწოლში"** (**12**) (ჯ. რობერტსი) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"დაკარგული ქვეყანა 3"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** პულსი **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"მისი სულის მუსიკა"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"ამანდა ო"** **12.50, 19.35** სერ. **"ადვოკატი"** **15.15** სერ. **"ექიმი ქმორი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** განთიადი **10.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.10** მხ. ფილმი **"არაჩვეულებრივი გამოფენა"** **13.30** კონცერტი – ე. ვირსალაძე **15.25** სპექტაკლი "აბეშურა – ფარნავაზიანთ უკანასკნელი დედოფალი" **17.05** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.35** მოკლ. ფილმი **"წყრომა"** **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"სანამ წვიმა გადივლიდეს"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** სალვთისმეტყველო საუბრები **22.20** დოკ. ფილმი "მშვენიერი ქართველი ქალი – დოდო ჭიჭინაძე" **22.35** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "მოკითხვა უთხარით საქართველოს" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** პერსპექტივა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**




ლურჯი წითელი ყვითელი შავი